

### ერთიანი სამხედრო ნუსხა

(ევროკავშირის ერთიანი სამხედრო ნუსხის<sup>1</sup> თარგმანი)

მიღებულია ევროკავშირის საბჭოს მიერ 2019 წლის 18 თებერვალს. (გამოხატავს საბჭოს ერთობლივ პოზიციას 2008/944/ CFSP ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ფარგლებში, რომელიც განმარტავს სამხედრო ტექნოლოგიების და მოწყობილობების ექსპორტის კონტროლის მართვის ერთიან წესებს) (სია განახლებულია და ანაცვლებს ევროკავშირის ერთიან სამხედრო ნუსხას, რომელიც მიღებულია საბჭოს მიერ 2018 წლის 26 თებერვალს) (CFSP) (2019/C 95/01)

**შენიშვნა 1** ერთიანი სამხედრო ნუსხის ტექსტში „ორმაგ ბრჭყალებში“ წარმოადგენილი ტერმინები განმარტებულია სამხედრო ნუსხის ბოლოს თანდართულ ტექსტში.

**შენიშვნა 2** ზოგ შეთხვევაში ქიმიური ნივთიერებები წარმოდგენილია სახელწოდებით და CAS (Chemical Abstracts Service) რეგისტრის ნომრით. ერთიან სამხედრო ნუსხაში შედის ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ხასიათდება ერთი და იგივე სტრუქტურული ფორმულით (ჰიდრატების ჩათვლით), იმის მიუხედავად, თუ რა არის მათი სახელწოდება და CAS რეგისტრის ნომერი. CAS ნომერი ამარტივებს კონკრეტული ქიმიური ნივთიერების ან ნარევის იდენტიფიცირებას. მიუხედავად ამისა, ნუსხაში მოცემული CAS ნომერი არ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ნუსხაში შესული ქიმიური ნარევის ერთადერთი მაიდენტიფიცირებელი, რადგან სიაში შესული ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების CAS ნომერი განსხვავდება იმ ნაერთის CAS ნომრისაგან, რომელიც შეიცავს აღნიშნულ ნივთიერებას.

**ჯგუფი 1** 20 მმ-ზე ნაკლები კალიბრის გლუვფულიანი იარაღი, აგრეთვე 12.7 მმ-ის (0.50 დუიმის) ან ნაკლები კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი და მათი ქვემოთ მოყვანილი აქსესუარები, აგრეთვე მათთვის სპეციალურად შექმნილი კომპონენტები:

შენიშვნა ამ ჯგუფში არ შედის:

- ა. ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი საიმითაციო საბრძოლო მასალისთვის და რომელსაც არ შეუძლია ჭურვის გასროლა;
- ბ. ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ისეთი მიმდგრებული ჭურვის 500 მ-ზე ან უფრო ნაკლებ დისტანციაზე სასროლად, რომელსაც არ აქვს მაღალი სიმძლავრის ფეთქებადი მუხტი ან მართვის რგოლი;
- გ. იარაღი, რომელიც იყენებს არაცენტრალურად აალებად საბრძოლო მასალებს და რომელიც არ არის სრულად ავტომატური ტიპის;
- დ. „სასწავლოდ გადაკეთებული საბრძოლო ცეცხლსასროლი იარაღი“.
- ა. შაშხანები და კომბინირებული თოფები, რევოლვერები და პისტოლეტები, ტყვიამფრქვევები, პისტოლეტ – ტყვიამფრქვევები და მრავალფულიანი იარაღი;

შენიშვნა ჯგუფი 1, პუნქტი ა. არ ვრცელდება შემდეგზე:

- ა. შაშხანები და კომბინირებული თოფები, დამზადებული 1938 წლამდე;
- ბ. შაშხანების და კომბინირებული თოფების რეპროდუქციები, რომელთა ორიგინალები დამზადებულია 1890 წლამდე;
- გ. რევოლვერები და პისტოლეტები, მრავალფულიანი იარაღი და ტყვიამფრქვევები, რომლებიც დამზადებულია 1890 წლამდე, ასევე მათი რეპროდუქციები;

(<sup>1</sup>) COMMON MILITARY LIST OF THE EUROPEAN UNION adopted by the Council on 18 February 2019 (equipment covered by Council Common Position 2008/944/CFSP defining common rules governing the control of exports of military technology and equipment) (updating and replacing the Common Military List of the European Union adopted by the Council on 26 February 2018 ) (CFSP) (2019/C 95/01)

დ. შაშხანები ან პისტოლეტები, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი შეკუმშული ჰაერით ან CO<sub>2</sub>-ით ინერტული ჭურვის გასატყორცნად

ბ. შემდეგი სახის გლუვგულიანი იარაღი:

- 1. გლუვგულიანი იარაღი, სპეციალურად შექმნილი საბრძოლო გამოყენებისათვის;
- 2. შემდეგი სახის გლუვგულიანი იარაღი:

- ა. სრულად ავტომატური იარაღი;
- ბ. ნახევრად ავტომატური ან დგუშის პრინციპით მოქმედი იარაღი;

შენიშვნა ჯგუფი ბ. პუნქტი 2. არ ვრცელდება შეიარაღებაზე, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ინერტული ჭურვების გასატყორცნად შეკუმშული ჰაერით ან CO<sub>2</sub>-ით.

შენიშვნა ჯგუფი 1-ის ქვეჯგუფი ბ არ ვრცელდება შემდეგზე:

- ა. გლუვგულიანი იარაღი, წარმოებული 1938 წლამდე;
- ბ. გლუვგულიანი იარაღის რეპროდუქცია, რომლის ორიგინალი დამზადებულია 1890 წლამდე;
- გ. გლუვგულიანი იარაღი, რომელიც გამოიყენება სანადირო და სპორტული მიზნებით. ეს იარაღი არ უნდა იყოს სპეციალურად შექმნილი სამხედრო გამოყენებისთვის ან არ უნდა იყოს სრულად ავტომატური ცეცხლსასროლის ტიპის.
- დ. გლუვგულიანი იარაღი, სპეციალურად შექმნილი ქვემოთმოყვანილი მიზნებით:
  - 1. შინაური ცხოველების ლიკვიდაცია;
  - 2. ცხოველების ტრანკვილიზაცია;
  - 3. სეისმური გამოცდა;
  - 4. ინდუსტრიული ჭურვების სროლა; ან
  - 5. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების (IED) უვნებელყოფა.

N.B. უვნებელყოფის საშუალებებისთვის იხ. ჯგუფი 4. და ჩანაწერი 1A006 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების საქონლის ნუსხაში.

გ. იარაღი, რომელიც იყენებს უმასრო საბრძოლო მასალას;

დ. აქსესუარები, რომლებიც შექმნილია ჯგუფი 1.-ის ა), ბ) და გ ქვეჯგუფებში მითითებული იარაღისათვის, რაც მოიცავს შემდეგს:

- 1. მოსახსნელი სავაზნე მჭიდები;
- 2. მაყუჩები და მოდერატორები;
- 3. თოფის სპეციალური სადგარები;
- 4. ალის ჩამხშობები;
- 5. იარაღის ოპტიკური სამიზნეები, რომლებსაც აქვთ გამოსახულების ელექტრონული გარდაქმნის შესაძლებლობა;
- 6. იარაღის ოპტიკური სამიზნეები, სპეციალურად შექმნილი სამხედრო გამოყენებისთვის.

ჯგუფი 2

**20 მმ-იანი ან მეტი კალიბრის გლუვგულიანი იარაღი, 12.7 მმ-იანი (0.50 დუიმი) ან მეტი კალიბრის სხვა იარაღი და საბრძოლო საშუალებები, სასროლი მონყობილობები და მათი აქსესუარები, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ, და ამისათვის სპეციალურად შექმნილი კომპონენტები:**

- ა. სასროლი იარაღი, ჰაუბიცები, ქვემეხები, ნალმტყორცნები, ტანკსანიანალმდეგო იარაღი, ჭურვის სასროლი დანადგარები, სამხედრო ცეცხლმტყორცნები, შაშხანები, უკუცემის არმქონე იარაღი, გლუვგულიანი იარაღი და მონყობილობები კვალის შესამცირებლად;

შენიშვნა 1 ჯგუფი 2-ის ა ქვეჯგუფში შედის ინჟექტორები, საზომი ხელსაწყოები, რეზერვუარები და სპეციალურად შექმნილი სხვა კომპონენტები, გამოსაყენებელი თხევად გასატყორცნ მუხტებთან ჯგუფი 2-ის ა ქვეჯგუფში მითითებული ნებისმიერი იარაღისათვის.

შენიშვნა 2 ჯგუფი 2-ის ა ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება შედეგ იარაღზე:

- ა. შაშხანები, გლუვგულიანი იარაღი და კომბინირებული თოფები, წარმოებული 1938 წლამდე;
- ბ. შაშხანების, გლუვგულიანი იარაღისა და კომბინირებული თოფების რეპროდუქციები, რომელთა ორიგინალები დამზადებულია 1890 წლამდე;
- გ. ზარბაზნები, ჰაუბიცები, ქვემეხები და ნალმტყორცნები, წარმოებული 1890 წლამდე;
- დ. გლუვგულიანი იარაღი, რომელიც გამოიყენება სანადირო ან სპორტული მიზნებით. ეს იარაღი არ უნდა იყოს სპეციალურად შექმნილი სამხედრო დანიშნულებით ან არ უნდა იყოს სრულად ავტომატური ცეცხლსასროლის ტიპის;
- ე. გლუვგულიანი იარაღი, სპეციალურად შექმნილი ქვემომოყვანილთაგან ნებისმიერი მიზნით:
  1. შინაური ცხოველების დაკვლისთვის;
  2. ცხოველების ტრანკვილიზაცია;
  3. სეისმური გამოცდა;
  4. ინდუსტრიული ჭურვების სროლა; ან
  5. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მონყობილობების (IED) გაუვნებელოება.

N.B. გაუვნებელოების საშუალებებისათვის იხ. ჯგუფი 4. და ჩანაწერი 1A006 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების საქონლის ნუსხაში;

- გ. ხელით გადასატანი ჭურვების გამშვებები, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ისეთი ე.წ. მიმაგრებული ჭურვის 500 მ-ზე ან უფრო ნაკლებ დისტანციაზე სასროლად, რომელსაც არ აქვს მაღალი სიმძლავრის ფეთქებადი მუხტი ან მართვის რგოლი;

- ბ. სამხედრო დანიშნულებისთვის სპეციალურად შექმნილი ან/და მოდიფიცირებული კვამლის, გაზის და პიროტექნიკური სასროლი მონყობილობა ან გენერატორები;

შენიშვნა ჯგუფი 2-ის ბ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება სასიგნალო პისტოლეტებზე.

- გ. იარაღის სამიზნეები და მათი სადგარები, რომლებიც:
  1. სპეციალურად შექმნილია სამხედრო გამოყენებისთვის; და
  2. სპეციალურად შექმნილია ჯგუფი 2-ის ა ქვეჯგუფში მითითებული იარაღისათვის.
- დ. სადგარები და მოსახსნელი სავაზნე მჭიდები, სპეციალურად შექმნილი ჯგუფი 2-ის ა ქვეჯგუფში მითითებული იარაღისათვის.

ჯგუფი 3

**ქვემოთჩამოთვლილი საბრძოლო მასალები და ამფეთქი მონყობილობები და მათთვის სპეციალურად შექმნილი შემდეგი კომპონენტები:**

- ა. 1, 2 და 12 ჯგუფებში მითითებული იარაღისთვის შექმნილი საბრძოლო მასალა;
- ბ. ამფეთქი მონყობილობები, სპეციალურად შექმნილი ამ ჯგუფი 3-ის ა ქვეჯგუფში მითითებული საბრძოლო მასალისათვის.

შენიშვნა 1 ჯგუფი 3-ში მითითებული სპეციალურად შექმნილი კომპონენტები:

- ა. ლითონის ან პლასტმასისგან დამზადებული კაფსულ-ამაალებლის საბჯენები, ტყვიის გულანები, სავაზნე ლენტის რგოლები, ჭურვის ნამყვანი სარტყლები და საბრძოლო მასალის ლითონის ნაწილები;
- ბ. უსაფრთხოების და დაცვის მონყობილობები, ამფეთქები, სენსორები და მაინიცირებელი მონყობილობები;
- გ. კვების ნყაროები მაღალი ერთჯერადი გამომუშავებით;
- დ. მუხტებისთვის განკუთვნილი ნვადი კონტეინერები;
- ე. შუალედური საბრძოლო მასალები – კასეტური ბომბები, კასეტური ნაღბები და კორექტირებადი ჭურვები.

შენიშვნა 2 ჯგუფი 3-ის ა ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგზე:

- ა. საბრძოლო მასრა ჭურვის გარეშე („ფუჭი ვარსკვლავი“);
- ბ. საიმიტაციო/სასწავლო საბრძოლო მასალა, გახვრეტილი დენტის კამერით;
- გ. სხვა ფუჭი და სასწავლოდ გამიზნული საბრძოლო მასალა, რომელიც არ შეიცავს ნამდვილი საბრძოლო მასალისთვის შექმნილ კომპონენტებს; ან
- დ. კომპონენტები, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ფუჭი და სასწავლო საბრძოლო მასალისთვის, რომელიც მითითებულია ამ შენიშვნის ა, ბ და გ პუნქტებში.

შენიშვნა 3 ჯგუფი 3-ის ა ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება ვაზნებზე, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი:

- ა. სასიგნალო დანიშნულებით;
- ბ. ფრინველების დასაფრთხოებად; ან
- გ. ნავთობის ჭაბურღილში გაზის ჩირაღდნის ასანათებად.

ჯგუფი 4

**ბომბები, ტორპედოები, რეაქტიული ჭურვები, რაკეტები და სხვა ასაფეთქებელი მონყობილობები და მუხტები, მათთან დაკავშირებული მონყობილობები და დანადგარები, აგრეთვე სპეციალურად მათთვის შემუშავებული კომპონენტები:**

N.B.1: მოძრაობის მართვის და ნავიგაციის აღჭურვილობისთვის იხ ჯგუფი 11.

N.B.2: საფრენი აპარატების რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისთვის (AMPS) იხ. ჯგუფი 4 ქვეჯგუფი გ.

- ა. ბომბები, ტორპედოები, ყუმბარები, საკვამლე კოჭები რეაქტიული ჭურვები, ნაღბები, რაკეტები, სიღრმითი ბომბები, ასაფეთქებელი მუხტები, ასაფეთქებელი მონყობილობები, ასაფეთქებელი კომპლექტები, პიროტექნიკური მონყობილობები, ვაზნები და სიმულატორები (ანუ, აღჭურვილობა, რომელიც ახდენს ნებისმიერი ზემოხსენებულის მახასიათებლების სიმულირებას), რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი სამხედრო გამოყენებისთვის

შენიშვნა ჯგუფი 4-ის ქვეჯგუფი ა მოიცავს:

- ა. საკვამლე ყუმბარებს, ცეცხლგამჩენ ბომბებს და ასაფეთქებელ მონყობილობებს;
- ბ. რაკეტების და რეაქტიული ჭურვების საქმენებს და დასაბრუნებელი აპარატების ცხვირის კონუსებს.

ბ. მონყობილობები, რომლებსაც აქვთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი:

- 1. სპეციალურად შექმნილია სამხედრო გამოყენებისთვის და
- 2 სპეციალურად შექმნილია 'საქმიანობისთვის', რომელიც შეეხება:
  - ა. პროდუქციას, რომელიც მითითებულია ჯგუფი 4-ის ა ქვეჯგუფში; ან
  - ბ. თვითნაკეთ ასაფეთქებელ მონყობილობებს (IEDs).

ტექნიკური შენიშვნა:

ჯგუფის 4 პუნქტში 4ბ ნახსენები 'საქმიანობა' შეეხება მართვას, გაშვებას, გასროლას, დამიზნებას, კონტროლს, დაცლას, დეტონაციას, აქტივაციას, მოქმედებაში მოყვანას ერთჯერადი იმპულსით, მონინაალმდევის შეცდომაში შეყვანას, ჩახშობას, მიზნების ძიებას, აღმოჩენას, მოხსნას, დაბრკოლებას ან გაუვნებელყოფას.

შენიშვნა 1 ჯგუფის 4 ქვეჯგუფი ბ მოიცავს:

- ა. მობილურ გაზის გამათხევადებელ აღჭურვილობას, რომელსაც შეუძლია დღე-ღამეში 1000 კილოგრამი ან მეტი წონის თხევადი აირის მიღება;
- ბ. მცურავ, ელექტრულგამტარ კაბელებს, რომლებიც გამოიყენება მაგნიტური ნალმების გაუვნებელყოფის დროს;

შენიშვნა 2 ჯგუფის 4 ქვეჯგუფის ბ მოქმედება არ ვრცელდება ხელის მონყობილობებზე, რომელთაც კონსტრუქციულად მხოლოდ ლითონის საგნების აღმოჩენის შესაძლებლობა აქვთ და რომლებიც ვერ განასხვავებენ ნალმს სხვა ლითონის საგნისგან.

გ. საფრენი აპარატების რაკეტსანინაალმდეგო დაცვის სისტემები (AMPS).

შენიშვნა ჯგუფის 4 ქვეჯგუფის გ მოქმედება არ ვრცელდება საფრენი აპარატების რაკეტსანინაალმდეგო დაცვის იმ სისტემებზე, რომლებსაც აქვთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი თვისება:

- ა. რაკეტის აღმომჩენი ნებისმიერი შემდეგი სენსორი:
  - 1. პასიური სენსორი, რომლის მაქსიმალური საპასუხო დიაპაზონი არის 100-400 ნმ; ან
  - 2. აქტიური იმპულსური დოპლერული სარაკეტო იერიშის გაფრთხილების სენსორი;
- ბ. დაბრკობებათა გაშვების სისტემები;
- გ. სითბური ხაფანგები, რომელთაც აქვთ როგორც ხილული, ასევე ინფრანითელი კვალის შექმნის შესაძლებლობა მინა-ჰაერის კლასის რაკეტების დეზორიენტირებისთვის; და
- დ. რომელიც დამონტაჟებულია „სამოქალაქოსაფრენი აპარატებზე“ და აქვს ყველა შემდეგი მახასიათებელი:
  - 1. რაკეტსანინაალმდეგო სისტემის ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ტიპის „სამოქალაქოსაფრენი აპარატებზე“, რომელშიც დამონტაჟებულია სპეციფიკური ტიპის ის სისტემა, რომელზეც გაცემულია ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე საბუთი:

- ა. *A* სამოქალაქო ტიპის სერთიფიკატი, გაცემული ვეროკავშირის ნევრი ან ვასენარის ხელშეკრულების მონაწილე ერთი ან მეტი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის ორგანოს მიერ; ან
  - ბ. ზემოთ აღნიშნულთან გათანაბრებული დოკუმენტი, რომელსაც სცნობს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO);
2. რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა იყენებს დაცვას კომპუტერულ პროგრამებზე არასანქცირებული ნვდომის აღსაკვეთად; და
  3. რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა შეიცავს აქტიურ მექანიზმს, რომელიც მისი სამოქალაქო საფრენი აპარატებიდან მოხსნის შემთხვევაში ახდენს სისტემის ბლოკირებას;

ჯგუფი 5

ცეცხლის მართვის, დაზვერვის და შეტყობინების მონყობილობა, აგრეთვე შესაბამისი სისტემები, ტესტირების, დამიზნების და კონტრქმედების მონყობილობა, რომელიც სპეციალურად არის შემუშავებული სამხედრო გამოყენებისათვის, აგრეთვე სპეციალურად მათთვის დამზადებული კომპონენტები და აქსესუარები:

- ა. იარაღის სამიზნეები, დამიზნების აღჭურვილობა, დაბომბვის კომპუტერები და იარაღის მართვისა და კონტროლის სისტემები.;
- ბ. ცეცხლის მართვის, დაზვერვის და შეტყობინების აღჭურვილობა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ქვემოჩამოთვლილი სისტემები:
  1. მიზნის დადგენის, მონიშვნის, მანძილის განსაზღვრის, დაკვირვების და თვალთვალის სისტემები;
  2. მიზნის გამოვლენის, ამოცნობის ან იდენტიფიცირების მონყობილობა;
  3. მონაცემთა შერწყმის ან სენსორების ინტეგრაციის აღჭურვილობა;
- გ. ჯგუფი 5-ის ა და ბ ქვეჯგუფებში ჩამოთვლილი საგნების კონტრქმედების მონყობილობა;
 

შენიშვნა ჯგუფი 5-ის გ ქვეჯგუფში მითითებული კონტრქმედების მონყობილობა მოიცავს დეტექტორულ აღჭურვილობას;
- დ. ამ ჯგუფის ა, ბ და გ ქვეჯგუფებში მითითებული სავლე გამოცდისა და დამიზნებისთვის სპეციალურად დამზადებული მონყობილობა.

ჯგუფი 6

**სახმელეთო ტრანსპორტი და მისი კომპონენტები, კერძოდ:**

N.B. მოძრაობის მართვისა და ნავიგაციის მონყობილობა, იხ: ჯგუფი 11.

- ა. სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შექმნილი ან მოდიფიცირებული სახმელეთო ტრანსპორტი და მისი კომპონენტები.

შენიშვნა 1 ჯგუფი 6-ის ა ქვეჯგუფში შედის:

- ა. ტანკები და სხვა სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო მანქანები, აღჭურვილი იარაღის სადგარებით, მონყობილობა დანაღმის ან სროლისათვის, რომელიც მითითებულია მე-4 ჯგუფში;
- ბ. ჯავშანტექნიკა;
- გ. ამფიბიები და ღრმა წყლების გადამლახავი მანქანები;
- გ. ავარიულ-სამაშველო და საბუქსირე ტექნიკა, საბრძოლო მასალების ან იარაღის სისტემების ტრანსპორტირების და შესაბამისი დასატვირთ-გადმოსატვირთი აღჭურვილობა;
- დ. ტრაილერები.

შენიშვნა 2 ჯგუფი 6-ის ა ქვეჯგუფში მითითებული სახმელეთო ტრანსპორტის სამხედრო გამოყენებისთვის მოდიფიკაცია გულისხმობს კონსტრუქციულ, ელექტრონულ ან მექანიკურ ცვლილებებს, რომლებიც შეეხება სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებულ ერთ ან მეტ კომპონენტს. ასეთი კომპონენტებია:

- ა. პნევმატური საბურავები, სპეციალურად შექმნილი ტყვიავაუმტარობის უზრუნველსაყოფად;
  - ბ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილების (მაგ., სანავის რეზერვუარების ან მანქანის კაბინების) ჯავშანდაცვა;
  - გ. იარაღის სპეციალურ გამაგრებები ან სადგამები;
  - დ. განათება სრული ჩაბნელების პირობებში.
- ბ. სხვა სახმელეთო ტრანსპორტი და მათი კომპონენტები, კერძოდ:
1. ტრანსპორტი, რომელსაც აქვს ყველა შემდეგი მახასიათებელი:
    - ა. დამზადებულია და აღჭურვილია III დონის (NIJ 0108.01, 1985 წლის სექტემბერი, ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტი) ან უფრო უკეთეს მასალებით ან კომპონენტებით;
    - ბ. ტრანსმისია, რომელიც უზრუნველყოფს წინა და უკანა ბორბლების ერთდროულ მუშაობას, მათ შორის იმ ტრანსპორტზე, რომელსაც ტვირთების გადაზიდვისთვის დამატებითი ბორბლები აქვს (მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა მათ);
    - გ. რომელთა სრული წონა (GVWR) აღემატება 4500 კილოგრამს; და
    - დ. რომლებიც შექმნილი ან მოდიფიცირებულია უგზოობაში გამოყენებისთვის;
  2. კომპონენტები, რომლებსაც აქვთ ყველა შემდეგი მახასიათებელი:
    - ა. სპეციალურად შექმნილია ჯგუფი 6-ის ბ.1 პუნქტში მითითებული ტრანსპორტისთვის; და
    - ბ. უზრუნველყოფს III დონის (NIJ 0108.01, 1985 წლის სექტემბერი, ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტი) ან უფრო მაღალ ბალისტიკურ დაცვას.

N.B. იხ. აგრეთვე ჯგუფი 13-ის ქვეჯგუფი ა.

შენიშვნა 1 ჯგუფი 6-ის მოქმედება არ ვრცელდება სამოქალაქო ტრანსპორტზე, რომელიც შექმნილი ან მოდიფიცირებულია ფულის ან ძვირფასეულობის ტრანსპორტირებისთვის.

შენიშვნა 2 ჯგუფი 6-ის მოქმედება არ ვრცელდება ტრანსპორტზე, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ მახასიათებელს:

- ა. წარმოებულია 1946 წლამდე;
- ბ. არ შეიცავს სამხედრო პროდუქციის ნუსხაში შემავალ პოზიციებს და წარმოებულია 1945 წლის შემდეგ, გარდა ავტომობილის ორიგინალური კომპონენტების ან აქსესუარების რეპროდუქციებისა; და
- გ. არ შეიცავს 1, 2 და 4 ჯგუფებში მითითებულ იარაღს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იარაღია არ არის მოქმედი და არ შეუძლია ჭურვის გასროლა.

ჯგუფი 7

**ქიმიური ნივთიერებები, ბიოლოგიური აგენტები, მასობრივი არეულობის კონტროლის საშუალებები, რადიოაქტიური მასალები, შესაბამისი მონყობილობა, კომპონენტები და მასალები, კერძოდ:**

- ა. "ბიოლოგიური აგენტები" ან რადიოაქტიური მასალები, რომლებიც შერჩეული ან მოდიფიცირებულია მათი ეფექტურობის გასაზრდელად ადამიანების და ცხოველების დაზიანების, აღჭურვილობის მწყობრიდან გამოყვანის ან მოსავლისა და გარემოსათვის ზიანის მიყენების მიზნით;
- ბ. ქიმიური საბრძოლო ნივთიერებები, მათ შორის:

1. ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებები:
  - ა. O-ალკილ (C10-ის ტოლი ან ნაკლები, ციკლოალკილის შემცველობით) ალკილ (მეთილ, ეთილ, n-პროპილ ან იზოპროპილ) – ფტორფოსფონატები, როგორიცაა:
    - ზარინი (GB): O-იზოპროპილმეთილფტორფოსფონატი (CAS 107-44-8); და
    - ზომანი (GD): O-პინაკოლილმეთილფტორფოსფონატი, (CAS 96-64-0);
  - ბ. O-ალკილ (C10-ის ტოლი ან ნაკლები, ციკლოალკილის შემცველობით) N,N-დიალკილ (მეთილ, ეთილ, n-პროპილ ან იზოპროპილ) ფოსფორამიდოციანიდატები, როგორიცაა:
    - ტაბუნი (GA): O-ეთილი, N,N-დიმეთილფოსფორამიდოციანიდატი (CAS 77-81-6);
  - გ. O-ალკილ (H, C10-ის ტოლი ან ნაკლები, ციკლოალკილის შემცველობით) S-2-დიალკილ (მეთილ, ეთილ, n-პროპილ ან იზოპროპილ)-ამინოეთილალკილ (მეთილ, ეთილ, n-პროპილ ან იზოპროპილ) ფოსფონოთიოლატები და შესაბამისი ალკილირებული და პროტონირებული მარილები, როგორიცაა:
    - VX: O-ეთილ-S-2-დიიზოპროპილამინოეთილმეთილფოსფონოთი (CAS 50782-69-9);
2. ქიმიური იარაღის ვეზიკულარული აგენტები (კანდამჩირქებელი ქიმიური საბრძოლო ნივთიერებები):
  - ა. გოგირდის იპრიტები, როგორიცაა
    1. 2-ქლოროეთილქლორმეთილ-სულფიდი (CAS 2625-76-5);
    2. ბის (2-ქლორეთილ) სულფიდი (CAS 505-60-2);
    3. ბის (2-ქლორეთილთიო) მეთანი (CAS 63869-13-6);
    4. 1,2-ბის (2-ქლორეთილთიო) ეთანი (CAS 3563-36-8);
    5. 1,3-ბის (2-ქლორეთილთიო) -n-პროპანი (CAS 63905-10-2);
    6. 1,4-ბის (2-ქლორეთილთიო) -n-ბუტანი (CAS 142868-93-7);
    7. 1,5-ბის (2-ქლორეთილთიო) -n-პენტანი (CAS 142868-94-8);
    8. ბის (2-ქლორეთილთიომეთილ) ეთერი (CAS 63918-90-1);
    9. ბის (2-ქლორეთილთიოეთილი) ეთერი (CAS 63918-89-8);
  - ბ. ლუიზიტები, როგორიცაა:
    1. 2-ქლოროვინილდიქლოროარსინი (CAS 541-25-3);
    2. ტრის (2-ქლოროვინილ) არსინი (CAS 40334-70-1);
    3. ბი (2-ქლოროვინილ) ქლოროარსინი (CAS 40334-69-8);
  - გ. აზოტოვანი იპრიტები, როგორიცაა:
    1. HN1: ბის (2-ქლოროეთილი) ეთილამინი (CAS 538-07-8);
    2. HN2: ბის (2-ქლოროეთილ) მეთილამინი (CAS 51-75-2);
    3. HN3: ბის (2-ქლოროეთილ) ამინი (CAS 555-77-1);
3. ქიმიური იარაღი – დროებით მწყობრიდან გამომყვანი მომწამლავი ნივთიერებები (,ფსიქო-ქიმიური საბრძოლო მომწამლევი ნივთიერებები) როგორიცაა:
  - ა. ქი-ნუკლიდინილ ბენზილატი (BZ) (CAS 6581-06-2);



4. ქიმიური იარაღი – დეფოლიანტები (ფოთოლგამცვენლები):
- ა. ბუთილ-2-ქლორო-4-ფტოროფენოქსიაცეტატი (LNF);
  - ბ. 2,4,5 -- ტრიქლოროფენოქსიაცეტილ მჟავა (CAS 93-76-5) შერეული 2,4-დიქლოროფენოქსიაცეტილ მჟავასთან (CAS 94-75-7) (ე.წ. ნარინჯისფერი ნაერთები (CAS 39277-47-9));
- გ. ქიმიური იარაღის ბინარული ან ძირითადი /პრეკურსორები, როგორცაა:
1. ალკილ (მეთილ, ეთილ, n-პროპილ ან იზოპროპილ) ფოსფონილდიფტორიდი, როგორცაა:
 

DF: მეთილ ფოსფონილდიფტორიდი (CAS 676-99-3);
  2. O-ალკილ (H ან C10-ის ტოლი ან ნაკლები, ციკლოალკილის შემცველობით) O-2-დიალკილ (მეთილ, ეთილ, n-პროპილ ან იზოპროპილ) ამინოეთილის ალკილის (მეთილ, ეთილ, n-პროპილ ან იზოპროპილ) ფოსფონიტები და შესაბამისი ალკილირებული და პროტონირებული მარილები, როგორცაა:
 

QL: O-ეთილ-2-დი-იზოპროპილამინოეთილ მეთილფოსფონიტი (CAS 57856-11-8);
  3. ქლოროზარინი: O-იზოპროპილმეთილქლოროფოსფონატი (CAS 1445-76-7);
  4. ქლოროსომანი: O- პინაკოლილმეთილფოსფონოქლორიდატი (CAS 7040-57-5);
- დ. „მასობრივი არეულობის კონტროლის საშუალებები“ (ირიტანტები), მათი აქტიური შემადგენელი ქიმიკატები და მათი შენაერთები, მათ შორის:
1. α-ბრომბენზოლაცეტონიტრილი, (ბრომბენზოლის ციანიდი) (CA) (CAS 5798-79-8);
  2. ბ) [(2-ქლოროფენილ) მეთილენ] პროპანდინიტრილი, (O-ქლორბენზილიდენმალონონიტრილი) (CS) (CAS 2698-41-1);
  3. 2-ქლორო-1-ფენილეთანონი, ფენილაცილის ქლორიდი (□-ქლოროაცეტოფენონი) (CN) (CAS 532-27-4);
  4. დიბენზო-(b,f)-1,4-ოქსაზეფინი, (CR) (CAS 257-07-8);
  5. 10-ქლორო-5,10-დიჰიდროფენარსაზინი (ფენარსაზინის ქლორიდი), (ადამსიტი), (DM) (CAS 578-94-9);
  6. N-ნონანოილმორფოლინი, (MPA) (CAS 5299-64-9);
- შენიშვნა 1 ჯგუფი 7-ის დ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება მასობრივი არეულობების აღსაკვეთად გამოსაყენებელ ნივთიერებათა ჯგუფზე, რომლებიც ინდივიდუალურად არის შეფუთული თავდაცვის მიზნებისათვის.*
- შენიშვნა 2 ჯგუფი 7-ის დ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება შემადგენელ ქიმიკატებსა და მათ კომბინაციებზე, რომლებიც იდენტიფიცირებული და შეფუთულია საკვების სანარმოებლად და სამედიცინო საჭიროებებისთვის.*
- ე. მოწყობილობა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ან მოდიფიცირებული სამხედრო გამოყენებისთვის ან/და შემდეგი ნივთიერებების, ასევე სპეციალურად მათთვის შექმნილი კომპონენტების გავრცელებისთვის:
1. ჯგუფი 7-ის ა, ბ და დ ქვეჯგუფებში მითითებული ნივთიერებები და აგენტები; ან
  2. ქიმიური იარაღის აგენტები ჯგუფი 7-ის გ ქვეჯგუფში მითითებული პრეკურსორებიდან.
- ვ. სამხედრო დანიშნულებისთვის სპეციალურად შექმნილი ან/და მოდიფიცირებული დამცავი და უვნებელმყოფი აღჭურვილობა, მათი კომპონენტები და ქიმიური ნაერთები:
1. ჯგუფი 7-ის ა, ბ და დ ქვეჯგუფებში მითითებული ნივთიერებებისგან თავდაცვის მიზნით შექმნილი აღჭურვილობა და მათთვის სპეციალურად შექმნილი კომპონენტები;

- 2. აღჭურვილობა, რომელიც შექმნილი ან მოდიფიცირებულია ჯგუფი 7-ის ა და ბ ქვეჯგუფებში მითითებული ნივთიერებებისგან დაბინძურებული ობიექტების გასაუვნებლად, აგრეთვე სპეციალურად მათთვის შექმნილი კომპონენტები;
- 3. ჯგუფი 7-ის ა და ბ ქვეჯგუფებში მითითებული ნივთიერებით დაბინძურებული ობიექტების გასაუვნებლად სპეციალურად შემუშავებული ან ფორმირებული ქიმიური ნაერთები;

შენიშვნა ჯგუფი 7-ის ვ.1 პუნქტი მოიცავს:

- ა. ჰაერის კონდიციონერების მონყობილობებს, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ან მოდიფიცირებული ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური ფილტრაციისათვის;
- ბ. დამცავ ტანსაცმელს.

N.B. აირნინალების, დამცავი და უვნებელმყოფი აღჭურვილობის შესახებ იხ. ჩანაწერი 1A004 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.

- ზ. სამხედრო გამოყენებისთვის შექმნილი ან მოდიფიცირებული აღჭურვილობა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ან მოდიფიცირებულია ჯგუფი 7-ის ა, ბ და დ ქვეჯგუფებში ჩამოთვლილი ნივთიერებების, აგრეთვე მათთვის სპეციალურად შექმნილი კომპონენტების აღმოჩენისა და იდენტიფიცირებისათვის;

შენიშვნა ჯგუფი 7-ის გ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება რადიაციის კონტროლის პერსონალურ დოზიმეტრებზე.

N.B. იხ. აგრეთვე ჩანაწერი 1A004 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.

- თ. „ბიოპოლიმერები“, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ან დამუშავებულია ჯგუფი 7-ის ბ ქვეჯგუფში მითითებული ქიმიური იარაღის შემადგენელი ნივთიერებების აღმოჩენის ან იდენტიფიცირებისთვის ან მათი წარმოებისათვის საჭირო გარკვეული უჯრედების კულტურები.

- ი. "ბიოკატალიზატორები", რომლებიც გამოიყენება ქიმიური იარაღის შემადგენელი ნივთიერებების უვნებელყოფის ან შემცირებისათვის, აგრეთვე შემდეგი ბიოლოგიური სისტემები:

- 1. „ბიოკატალიზატორები“, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ჯგუფი 7-ის ბ ქვეჯგუფში მითითებული ქიმიური იარაღის შემადგენელი ნივთიერებების უვნებელყოფის ან შემცირებისათვის და რომლებიც მიღებულია ლაბორატორიულად ბიოლოგიური სისტემების მიზანმიმართული შერჩევის ან გენეტიკური მანიპულაციის საფუძველზე;
- 2. ბიოლოგიური სისტემები, რომლებიც შეიცავენ ჯგუფი 7-ის ი.1 პუნქტში მითითებული „ბიოკატალიზატორების“ დამზადებისათვის სპეციფიკურ გენეტიკურ ინფორმაციას:
  - ა. "ექსპრესიის ვექტორები“;
  - ბ. ვირუსები;
  - გ. უჯრედების კულტურები.

შენიშვნა 1 ჯგუფი 7-ის ბ და დ ქვეჯგუფების მოქმედება არ ვრცელდება შემდეგზე:

- ა. ციანოგენის ქლორიდი (CAS 506-77-4). იხ. ჩანაწერი 1C450.ა.5. ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.
- ბ. ციანწყალბად მჟავა (CAS 74-90-8);
- გ. ქლორი (CAS 7782-50-5);
- დ. კარბონილური ქლორიდი (ფოსგენი) (CAS 75-44-5). იხ. ჩანაწერი 1C450.ა.4. ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში;
- ე. დიფოსგენი (ტრიქლორმეთილქლოროფორმიატი) (CAS 503-38-8);

- ვ. ნივთიერებები, რომლებიც არ გამოიყენება 2004 წლის შემდეგ;
- ზ. ქსილილის ბრომიდი, ორთო: (CAS 89-92-9), მეტა: (CAS 620-13-3), პარა: (CAS 104-81-4);
- თ. ბენზილის ბრომიდი (CAS 100-39-0);
- ი. ბენზილის იოდიდი (CAS 620-05-3);
- კ. ბრომო აცეტონი (CAS 598-31-2);
- ლ. ბრომციანი (CAS 506-68-3);
- მ. ბრომო მეთილეთილკეტონი (CAS 816-40-0);
- ნ. ქლორ აცეტონი (CAS 78-95-5);
- ო. ეთილის იოდაცეტატი (CAS 623-48-3);
- პ. იოდო აცეტონი (CAS 3019-04-3);
- ჟ. ქლოროპიკრინი (CAS 76-06-2). იხ. ჩანაწერი 1C450.ა.7. ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.

შენიშვნა 2 ჯგუფი 7-ის თ ქვეჯგუფში და ჯგუფი 7-ის ი.2 პუნქტში ჩამოთვლილი უჯრედების კულტურები და ბიოლოგიური სისტემები ექსკლუზიურია და არ ვრცელდება სამოქალაქო სფეროებში გამოსაყენებელ ისეთ უჯრედებზე ან ბიოლოგიურ სისტემებზე, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო, ფარმაცევტული, სამედიცინო, ვეტერინარული, ეკოლოგიური, ნარჩენების მართვა ან კვების მრეწველობა;

ჯგუფი 8

**"ენერგეტიკული მასალები" და მათთან დაკავშირებული ნივთიერებები, როგორცაა:**

N.B.1. იხ. აგრეთვე ჩანაწერი 1C011 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში;

N.B.2. მუხტების და მონყობილობების შესახებ იხ. ჯგუფი 4 და ჩანაწერი 1A008 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში;

ტექნიკური შენიშვნები

1. ჯგუფ 8-ში, გარდა პუნქტებისა გ.11. ან გ.12.'ნაერთი' გულისხმობს ორი ან მეტი ნივთიერების შემადგენლობას, რომელთაგან ერთი მაინც შედის ჯგუფი 8-ის ქვეპუნქტებში მოცემულ ჩამონათვალში.
  2. ჯგუფი 8-ის ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ნებისმიერი ნივთიერება განეკუთვნება ამ ნუსხას მაშინაც კი, თუ ის არ გამოიყენება იმ მიზნით, რომელიც დასახელებულია (მაგ. TAGN (ტრიამინოგუანიდინ ნიტრატი), უპირატესად გამოიყენება როგორც ასაფეთქებელი, მაგრამ მას ასევე იყენებენ როგორც საწვავს ამ დამწვანავს.)
  3. ჯგუფ 8-ში „ნანილაკის ზომა“ ნიშნავს ნანილაკის საშუალო დიამეტრს, შეფარდებულს მასასთან ან მოცულობასთან. ნანილაკის ზომის განსაზღვრად და ნიმუშის შესარჩევად გამოიყენება საერთაშორისო ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტები.
- ა. ქვემოთ ჩამოთვლილი „ფეთქებადი ნივთიერებები“ და მათი 'ნაერთები', როგორცაა:
1. ADNBF (ამინოდინიტრობენზოფუროქსანის ან 7-ამინო-4,6-დინიტრობენზოფურაზან -1-ოქსიდი) (CAS 97096-78-1);
  2. BNCP (ცის-ბის (5-ნიტროტეტრაზოლატო) ტეტრა ამინ -კობალტ (III) პერქლორატი) (CAS 117412-28-9);
  3. CL-14 (დიამინო დინიტრობენზოფუროქსანი ან 5,7-დიამინო -4, 6-დინიტრობენზოფურაზან -1-ოქსიდი) (CAS 117907-74-1);

4. CL-20 (HNIW or CL-20 (HNIW ან ჰექსანიტროჰექსააზაისოვურტიტანი) (CAS 135285-90-4); CL-20-ის ქლათრატები (იხ აგრეთვე მისი 'პრეკურსორები' ჯგუფის 8 პუნქტებში გ.3. და გ.4.);
5. CP (2-(5-ციანოტეტრა ზოლატო) პენტამინ -კობალტ (III) პერქლორატი) (CAS 70247-32-4);
6. DADE (1,1- დიამინო -2,2-დინიტროეთილენი, FOX7 (CAS 145250-81-3);
7. DATB (დიამინოტრინიტრობენზოლი) (CAS 1630-08-6);
8. DDFP (1,4-დინიტროდიფურაზანოპიპერაზინი);
9. DDPO (2,6-დიამინო -3,5დინიტროპირაზინ--1-ოქსიდი, PZO) (CAS 194486-77-6);
10. DIPAM (3,3'-დიამინო -2,2',4,4',6,6'-ჰექსანიტრობიფენილი ან დიპიკრამიდი) (CAS 17215-44-0);
11. DNGU (DINGU ან დინიტროგლიკოლურილი (CAS 55510-04-8);
12. ფურაზანები, როგორცაა:
  - ა. DAAOF (DAAF, DAAFox, დიამინოაზოქსიფურაზანი);
  - ბ. DAAzF (დიამინოაზოფურაზანი) (CAS 78644-90-3);
13. HMX და მისგან წარმოებულები: (იხ. აგრეთვე მისი 'პრეკურსორები' ჯგუფის 8 პუნქტში გ.5.),
  - ა. HMX (ციკლოტეტრამეთილენეტეტრანიტრამინი, ოქტაჰიდრო -1,3,5,7-ტეტრანიტრო -1,3,5,7-ტეტრაზინი, 1,3,5,7-ტეტრანიტრო -1,3,5,7-ტეტრაზა -ციკლოქტანი, ოქტოგენი ან ოქტოგენე) (CAS 2691-41-0);
  - ბ. HMX-ის დიფლუორამინირებული ანალოგები;
  - გ. K-55 (2,4,6,8-ტეტრანიტრო -2,4,6,8-ტეტრააზაბიციკლო [3,3,0]-ოქტანონ -3, ტეტრანიტროსემიგლიკურილი ან კეტო-ბიციკლური HMX) (CAS 130256-72-3);
14. HNAD (ჰექსანიტროადამანტანი) (CAS 143850-71-9);
15. HNS (ჰექსანიტროსტილბენი) (CAS 20062-22-0);
16. იმიდაზოლები, როგორცაა:
  - ა. BNNII (ოქტაჰიდრო-2,5-ბის(ნიტროიმინო) იმიდაზო [4,5-d]იმიდაზოლი);
  - ბ. DNI (2,4-დინიტროიმიდაზოლი) (CAS 5213-49-0);
  - გ. FDIA (1-ფტორ, 2,4-დინიტროიმიდაზოლი);
  - დ. NTDNIA (N-(2-ნიტროტრიაზოლო)-2,4-დინიტროიმიდაზოლი);
  - ე. PTIA (1-პიკრილ-2,4,5- ტრინიტროიმიდაზოლი);
17. NTNMH (1-(2-ნიტროტრიაზოლო)-2-დინიტრომეთილენის ჰიდრაზინი);
18. NTO (ONTA ან 3-ნიტრო-1,2,4- ტრიაზოლ-5-ონ) (CAS 932-64-9);
19. პოლინიტროკუბანები ოთხზე მეტი აზოტის ჯგუფით;
20. PYX (2,6-ბის(პიკრილამინო)-3,5-დინიტროპირიდინი)
21. RDX და მისგან წარმოებულები, როგორცაა:

- ა. RDX (ციკლოტრიმეთილენიტრინიტრამინი, ციკლონიტი, T4, ჰექსოგენი -1,3,5-ტრინიტრო-1,3,5-ტრიაზინი, 1,3,5-ტრინიტრო -1,3,5-ტრიაზა -ციკლოჰექსანი, ჰექსოგენი ან ჰექსოგენე) (CAS 121-82-4);
- ბ. კეტო-RDX (K-6 or 2,4,6-ტრინიტრო -2,4,6-ტრიაზაციკლოჰექსანონი) (CAS 115029-35-1);
22. TAGN (ტრიაზინოგუანიდინის ნიტრატი) (CAS 4000-16-2);
23. TATB (ტრიაზინოტრინიტრობენზოლი) (CAS 3058-38-6) („პრეკურსორები იხილეთ ასევე ჯგუფის 8 პუნქტში გ.7);
24. TEDDZ (3,3,7,7-ტეტრაბის (დიფლუოროამინი)(დიფტორამინ) ოქტაჰიდრო -1,5-დინიტრო -1,5-დიაზოცინი);
25. შემდეგი ტეტრაზოლები:
- ა. NTAT (ნიტროტრიაზოლის ამინოტეტრაზოლი);
- ბ. NTNT (1-N-(2-ნიტროტრიაზოლო)-4-ნიტროტეტრაზოლი);
26. ტეტრილი (ტრინიტროფენილმეთილნიტრამინი) (CAS 479-45-8);
27. TNAD (1,4,5,8-ტეტრანიტრო -1,4,5,8-ტეტრაზაბადეკალინი) (CAS 135877-16-6) („პრეკურსორები“ იხ. ასევე ჯგუფის 8 პუნქტში გ.6.);
28. TNAZ (1,3,3-ტრინიტროაზეტიდინი) (CAS 97645-24-4) მისი 'პრეკურსორები' იხ. ასევე ჯგუფის 8 პუნქტში გ.6 ");
29. TNGU (სორგუილი ან ტეტრანიტროგლიკოლურილი) (CAS 55510-03-7);
30. NP (1,4,5,8-ტეტრანიტრო -პირიდაზინო [4,5-d]პირიდაზინი) (CAS 229176-04-9);
31. შემდეგი ტრიაზინები:
- ა. DNAM (2-ოქსი -4,6-დინიტროამინო -ს-ტრიაზინი) (CAS 19899-80-0);
- ბ. NNHT (2-ნიტროამინო -5-ნიტრო-ჰექსაჰიდრო -1,3,5-ტრიაზინი) (CAS 130400-13-4);
32. ტრიაზოლები, როგორცაა :
- ა. 5-აზიდო -2-ნიტროტრიაზოლი;
- ბ. ADHTDN (4-ამინო -3,5-დიჰიდრაზინო -1,2,4-ტრიაზოლის დინიტრამიდი) (CAS 1614-08-0);
- გ. ADNT (1-amino-3,5-dinitro-1,2,4-triazole);
- დ. BDNTA [ ბის-დინიტროტრიაზოლის] ამინი
- ე. DBT (3,3-დინიტრო -5,5-ბი-1,2,4-ტრიაზოლი) (CAS 30003-46-4);
- ვ. DNBT (დინიტრობისტრიაზოლი) (CAS 70890-46-9);
- ზ. ნივთიერებები, რომლებიც არ გამოიყენება 2010 წლიდან;
- თ. NTDNT (1-N-(2-ნიტროტრიაზოლო) 3,5-დინიტროტრიაზოლი);
- ი. PDNT (1-პიკრილ-3,5-დინიტროტრიაზოლი);
- კ. TACOT (ტეტრანიტრობენზოტრიაზოლობენზოტრიაზოლი) (CAS 25243-36-1);
33. „ფეთქებადი ნივთიერებები“, რომლებიც არ არის შეტანილი ჯგუფი 8-ის ა ქვეჯგუფში და რომლებსაც აქვთ ქვემოჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ნებისმიერი:

- ა. დეტონაციის სიჩქარე აჭარბებს 8,700 მ/წ-ს მაქსიმალურ სიმკვრივის პირობებში; ან
  - ბ. დეტონაციის წნევა აჭარბებს 34 გპას (340 კბარი);
  - 34. ნივთიერებები, რომლებიც არ გამოიყენება 2013 წლიდან;
  - 35. DNAN (2,4-დინიტროანიზოლი) (CAS 119-27-7);
  - 36. TEX (4,10-დინიტრო-2,6,8,12-ტეტრაოქსა-4,10-დიაზაიზოვოურტზიტანი);
  - 37. GUDN (გუანილშარდოვანას დინიტრამიდი) FOX-12 (CAS 217464-38-5);
  - 38. შემდეგი ტეტრაზინები:
    - ა. BTAT (ბის(2,2,2-ტრინიტროეთილ)-3,6-დიაზინოტეტრაზინი);
    - ბ. LAX-112 (3,6-დიაზინო-1,2,4,5-ტეტრაზინ-1,4-დიოქსიდი);
  - 39. ენერგეტიკული იონური მასალები, რომლებიც ლღვება 343 K (70 °C)-დან 373 K (100 °C)-მდე ტემპერატურაზე და რომელთა დეტონაციის სიჩქარე აჭარბებს 6 800 მ/წ-ს ან რომელთა დეტონაციის წნევა აჭარბებს 18 გპას-ს (180 კბარ)-ს;
  - 40. BTNEN (ბის(2,2,2-ტრინიტროეთილ)-ნიტრამინი) (CAS 19836-28-3);
  - 41. FTDO (5,6-(3',4'-ფურაზანო)- 1,2,3,4-ტეტრაზინ-1,3-დიოქსიდი);
  - 42. EDNA (ეთილენდინიტრამინი) (CAS 505-71-5);
  - 43. TKX-50 (დიჰიდროქსილამონიუმ 5,5'-ბისტეტრაზოლ-1,1'-დიოლატი);
- შენიშვნა ჯგუფი 8-ის ა ქვეჯგუფი მოიცავს 'ფეთქებად თანაკრისტალებს'.

ტექნიკური შენიშვნა

*'ფეთქებადი თანაკრისტალი' მყარი მასალაა, რომელიც შედგება ორი ან მეტი ფეთქებადი მოლეკულის მონესრიგებული სამგანზომილებიანი სტრუქტურისგან, რომელთაგან ერთი მაინც დასახელებულია ჯგუფი 8-ის ა ქვეჯგუფში.*

- ბ. „სარაკეტო სანვავი“:
  - 1. ნებისმიერი მყარი „სარაკეტო სანვავი“, რომლის თეორიული ზღვრული იმპულსი (სტანდარტულ პირობებში):
    - ა. 240 წამზე მეტია არალითონიზებული, არაჰალოგენიზებული „სარაკეტო სანვავის“ შემთხვევაში;
    - ბ. 250 წამზე მეტია არალითონიზებული, ჰალოგენიზებული „სარაკეტო სანვავის“ შემთხვევაში; ან
    - გ. 260 წამია ლითონიზებული შემადგენლობების შემთხვევაში;
  - 2. ნივთიერებები, რომლებიც არ გამოიყენება 2013 წლიდან;
  - 3. "სარაკეტო სანვავი", რომლის ძალის მუდმივა მეტია 1,200 კვ/კგ-ზე;
  - 4. „სარაკეტო სანვავი“, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს 38 მმ/წმ-ზე მეტი წვის სტაციონარული ხაზოვანი სიჩქარე, (გაზომილი ინჰიბირებული ერთნაკადიანი ალის სახით) 6.89 მპა (68.9 ბარი) წნევის და 294 K (21°C) ტემპერატურის სტანდარტულ პირობებში;
  - 5. ელასტომერით მოდიფიცირებული ორმაგფუძიანი (EMCDB) სარაკეტო სანვავი, რომელსაც აქვს 5%-ზე მეტად გაფართოვების პოტენციალი მაქსიმალური დატვირთვის და 233 K (- 40 °C) ტემპერატურის პირობებში;

6. ნებისმიერი „სარაკეტო სანვაი“, რომელიც შეიცავს ჯგუფი 8-ის ა ქვეჯგუფში მითითებულ ნივთიერებებს;
7. "სარაკეტო სანვაი", რომელიც არ არის მითითებული ევროკავშირის საერთო სამხედრო ნუსხაში და სპეციალურად არის შემუშავებული სამხედრო გამოყენებისთვის.
- გ. „პიროტექნიკური მასალები“, სანვაი და შესაბამისი ნივთიერებები, აგრეთვე მათი 'ნაერთები':
1. სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული „საავიაციო“ სანვაი;
 

*შენიშვნა 1* ჯგუფი 8-ის გ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება JP-4, JP-5, and JP-8 სანვაებზე.

*შენიშვნა 2* ჯგუფი 8-ის გ.1 პუნქტში მითითებული „საავიაციო“ სანვაი დასრულებული პროდუქტია და არა მისი შემადგენელი კომპონენტები;
  2. ალანი (ალუმინის ჰიდრიდი) (CAS 7784-21-6);
  3. ბორანები და მათი წარმოებულები, როგორცაა:
    - ა. კარბორანები;
    - ბ. ბორანის ჰომოლოგები, როგორცაა:
      1. დეკარბორანი (14) (CAS 17702-41-9);
      2. პენტაბორანი (9) (CAS 19624-22-7);
      3. პენტაბორანი (11) (CAS 18433-84-6);
  4. ჰიდრაზინი და წარმოებულები, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ დამუხანგავი ჰიდრაზინის წარმოებულებისთვის იხ. (აგრეთვე ჯგუფი 8-ის დ.8. და დ.9. პუნქტებში):
    - ა. ჰიდრაზინი (CAS 302-01-2) 70 %-იანი და მეტი კონცენტრაციით;
    - ბ. მონომეთილჰიდრაზინი (CAS 60-34-4);
    - გ. სიმეტრიული დიმეთილჰიდრაზინი (CAS 540-73-8);
    - დ. არასიმეტრიული დიმეთილჰიდრაზინი (CAS 57-14-7);

*შენიშვნა* ჯგუფი 8-ის გ.4.ა. ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ჰიდრაზინის ნაერთებზე, რომლებიც სპეციალურად არის შემუშავებული კოროზიის კონტროლისათვის.
  5. ლითონის სანვაი, სანვავის 'ნარეგები' ან „პიროტექნიკული“ 'ნარეგები', რომლებიც დამზადებულია სფერული, დაქუცმაცებული, ბურთულისებრი, ნაფლეთისებრი ან დანაყილი მასალისაგან და შედგება 99% ან მეტი რაოდენობის ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:
    - ა. ლითონები და მათი 'ნაერთები', როგორცაა:
      1. ბერილიუმი (CAS 7440-41-7) 60 მკმ-ზე ნაკლები ზომის ნაწილაკებით;
      2. (CAS 7439-89-6) 3 მკმ ან ნაკლები ნაწილაკის ზომის შემცველი რკინის ფხვნილი, რომელიც მიღებულია რკინის ოქსიდის წყალბადით აღდგენის გზით;
    - ბ. 'ნაერთები', რომლებიც შეიცავს ნებისმიერს შემდეგი მასალებიდან:
      1. ცირკონიუმი (CAS 7440-67-7), მაგნიუმი (CAS 7439-95-4) ან მათი შენადნობები 60 მკმ-ზე ნაკლები ზომის ნაწილაკებით; ან
      2. 85%-იანი ან მეტი სისუფთავის ბორის (CAS 7440-42-8) or ბორის კარბიდის (CAS 12069-32-8), სანვავს, 60 მკმ ნაკლები ზომის ნაწილაკებით;

შენიშვნა 1 ჯგუფი 8-ის გ.5 პუნქტი მოიცავს ასაფეთქებელ ნივთიერებებსა და სანავს, მიუხედავად იმისა, ლითონები და შენადნობები ალუმინშია ინკაფსულირებული, მაგნიუმში, ცირკონიუმში თუ ბერილიუმში;

შენიშვნა 2 ჯგუფი 8-ის გ.5.ბ ქვეპუნქტი მოიცავს მხოლოდ ლითონის სანავს ნაწილაკების ფორმით, სადაც ისინი შერეულია სხვა ნივთიერებებთან სამხედრო დანიშულების 'ნარევის' შექმნის მიზნით, როგორცაა თხევადი „სარაკეტო სანავის“ სუსპენზიები, მყარი „სარაკეტო სანავი“ ან „პიროტექნიკური“ 'ნარევი'.

შენიშვნა 3 ჯგუფი 8-ის გ.5.ბ.2 ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ბორზე და ბორის კარბიდზე, რომელიც გამდიდრებულია ბორი-10-ით (ბორი-10-ის 20 % ან მეტი მთლიან შემადგენლობაში)

- 6. სამხედრო მასალები, რომლებიც შეიცავს გამასქელებლებს ნახშირწყალბადოვანი სანავისთვის და რომლებიც სპეციალურად შემუშავებულია ცეცხლმტყორცნებში ან ისეთ ცეცხლგამჩენ საბრძოლო მასალებში გამოსაყენებლად, როგორცაა ლითონის სტეარატები ან პალმიტატები (მაგალითად ოქტალი (CAS 637-12-7) და გამასქელებლები M1, M2 და M3;
- 7. პერქლორატები, ქლორატები და ქრომატები, რომლებიც შეიცავს ლითონის ფხვნილს ან მაღალენერგეტიკული სანავის სხვა კომპონენტებს;
- 8. სფერული და სფეროიდული ალუმინის ფხვნილი (CAS 7429-90-5) 60 მკმ ან ნაკლები ზომის ნაწილაკებით, დამზადებული ნივთიერებისაგან, რომელიც შეიცავს 99% და მეტ ალუმინს;
- 9. ტიტანის სუბჰიდრიდი (TiH<sub>n</sub>), რომელიც სტექიომეტრიით, სადაც n = 0.65 – 1.68.
- 10. თხევადი მაღალი ენერგეტიკული სიმკვრივის მქონე სანავის ქვემოჩამოთვლილი სახეობები, რომლებიც არ არის მითითებული ჯგუფი 8-ის გ.1 პუნქტში:
  - ა. შერეული სანავი, რომელიც შეიცავს როგორც მყარ, ისე თხევად სანავს (მაგალითად, ბორის სუსპენზია) და რომლის ხვედრითი ენერგეტიკული სიმკვრივე 40 მჯ/კგ ან მეტია;
  - ბ. მაღალი სიმკვრივის ენერგიის მქონე სანავის სხვა სახეობები და დანამატები სანავზე (მაგ., კუბანი, იონური ხსნარები JP-7, JP-10), რომელთა მოცულობითი ენერგეტიკული სიმკვრივე 293 K (20°C) ტემპერატურაზე და ატმოსფერულ წნევაზე (101,325 kPa) არის 37,5 გჯ კუბურ მეტრზე ან მეტი.

შენიშვნა ჯგუფი 8-ის გ.10.ბ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება რაფინირებულ წიაღისეულ სანავზე ან ბიოსანავზე, ან სამოქალაქო ავიაციისთვის სერთიფიცირებულ ძრავებში გამოსაყენებელ სანავზე.

- 11. შემდეგი „პიროტექნიკა“ და პიროფორული მასალები:
  - ა. „პიროტექნიკა“ და პიროფორული მასალები, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ინფრანითელი სპექტრის ნებისმიერ ნაწილში გამოსხივებული ენერგიის გაძლიერების ან კონტროლის მიზნით;
  - ბ. მაგნიუმის, პოლიტეტრაფტოროეთილენის (PTFE) და ვინილიდინდიფტორიდ-ჰექსაფტოროპროპილენ კოპოლიმერის (მაგ., MTV) ნარევი;
- 12. სანავის ნარევი, „პიროტექნიკური“ ნარევი და „ენერგეტიკული მასალები“, რომლებიც არ არის მითითებული ჯგუფ 8-ში და რომლებსაც აქვთ ყველა შემდეგი მახასიათებელი:
  - ა. შეიცავს შემდეგ ნივთიერებათა 0,5 %-ზე მეტ ნაწილაკებს:
    - 1. ალუმინი;
    - 2. ბერილიუმი;
    - 3. ბორი;
    - 4. ცირკონიუმი;



5. მაგნიუმი; ან

6. ტიტანი;

ბ. ჯგუფი 8-ის გ.12.ა ქვეპუნქტში მითითებული ნაწილაკები, რომელთა ზომა ნებისმიერი მიმართულებით 200 ნმ-ზე ნაკლებია; და

გ. ჯგუფი 8-ის გ.12.ა ქვეპუნქტში მითითებული ნაწილაკები, რომლებშიც მეტალის შემცველობა 60 % ან მეტია;

შენიშვნა ჯგუფი 8-ის ქვეპუნქტი გ.12. ML8.c.12. მოიცავს თერმულად დამუშავებულ ნარევებს.

დ. დამყანგველები და მათი 'ნარევები', როგორცაა:

1. ADN (ამონიუმის დინიტრამიდი ან SR 12) (CAS 140456-78-6);

2. AP (ამონიუმის პერქლორატი) (CAS 7790-98-9);

3. ნაერთები, რომლებიც შედგება ფტორისა და ერთ-ერთი ქვემოთ მითითებული ნივთიერებისაგან:

ა. სხვა ჰალოგენები;

ბ. ჟანგბადი, ან

გ. აზოტი.

შენიშვნა 1 ჯგუფი 8-ის დ.3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ქლორის ტრიფტორიდზე (CAS 7790-91-2).

შენიშვნა 2 ჯგუფის 8 პუნქტი დ.3 არ ვრცელდება აზოტის ტრიფტორიდზე (CAS 7783-54-2) აირად მდგომარეობაში.

4. DNAD (1,3-დინიტრო -1,3-დიაზეტიდინი) (CAS 78246-06-7);

5. HAN (ჰიდროქსილამონიუმის ნიტრატი) (CAS 13465-08-2);

6. HAP (ჰიდროქსილამონიუმის პერქლორატი) (CAS 15588-62-2);

7. HNF (ჰიდრაზინის ნიტროფორმიატი) (CAS 20773-28-8);

8. ჰიდრაზინის ნიტრატი (CAS 37836-27-4);

9. ჰიდრაზინის პერქლორატი (CAS 27978-54-7);

10. თხევადი მყანგავები, რომლებიც შედგება ინჰიბირებული ნითელკვამლიანი აზოტის მყანგავისაგან (IRFNA) (CAS 8007-58-7);

შენიშვნა ჯგუფი 8-ის დ.10 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება არაინჰიბირებულ მბოლავ აზოტის მყანგავზე.

ე. შემკვრელი ნივთიერებები, პლასტიფიკატორები, მონომერები და პოლიმერები, როგორცაა:

1. AMMO აზიდომეთილმეთილოქსეტანი და მისი პოლიმერები (CAS 90683-29-7). (მისი „პრეკურსორები“ ასევე იხ. ჯგუფი 8-ის გ.1. პუნქტში);

2. BAMO (3,3-ბის(აზიდომეთილ)ოქსეტანი და მისი პოლიმერები) (CAS 17607-20-4) (მისი „პრეკურსორები“ იხ. ასევე იხ. ჯგუფის 8 გ.1. პუნქტში);

3. BDNPA DNPA (ბის (2,2- დინიტროპროპილ)აცეტალი) (CAS 5108-69-0);

4. BDNPF (ბის (2,2-დინიტროპროპილ)ფორმალი) (CAS 5917-61-3);

5. BTTN (ბუტანტრიოლტრინიტრატი (CAS 6659-60-5) (მისი პრეკურსორები იხ. ასევე იხილეთ ჯგუფი 8-ის გ.8. პუნქტში);
  6. აქტიური მონომერები, პლასტიფიკატორები ან პოლიმერები, რომლებიც სპეციალურად არის შემუშავებული სამხედრო გამოყენებისთვის და რომლებიც შეიცავს რომელიმე ნე-ბისმიერს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:
    - ა. ნიტროჯგუფები;
    - ბ. აზიდოჯგუფები;
    - გ. ნიტრატების ჯგუფები;
    - დ. ნიტრაზა ჯგუფები; ან
    - ე. დიფტორამინოჯგუფები;
  7. FAMAO (3-დიფტორამინომეთილ -3-აზიდომეთილ ოქსეტანი) და მისი პოლიმერები;
  8. FEFO (ბი-(2- ფტორ-2,2-დინიტროეთილ) ფორმალი) (CAS 17003-79-1);
  9. FPF-1 (პოლი-2,2,3,3,4,4 – ჰექსაფტორპენტან -1,5-დიოლ ფორმალი) (CAS 376-90-9);
  10. FPF-3 (პოლი-2,4,4,5,5,6,6 – ჰექსაფტორ-2-ტრი-ფტორმეთილ--3- ოქსაჰექსან--1,7-დიოლ-ფორმალი);
  11. GAP (პოლიგლიციდილაზიდი) (CAS 143178-24-9) და მისი წარმოებულები;
  12. HTPB (პოლიბუტადიენი ბოლოებში ჰიდროქსილური ჯგუფებით) ჰიდროქსილის ფუნქციონალურობით 2,2-დან 2,4-მდე, და ჰიდროქსილური მაჩვენებლით, რომელიც ნაკლებია 0,77 მილიეკვ/გ-ზე, და სიბლანტით, რომელიც 30 °C-ზე 47 პუაზზე ნაკლებია (CAS 69102-90-5);
  13. სპირტის ფუნქციონალურობით დაბალმოლეკულური (10 000-ზე ნაკლები) პოლი(ეპიქლორ-ჰიდრინი), როგორცაა:
    - ა. პოლი(ეპიქლორჰიდრინდიოლი);
    - ბ. პოლი(ეპიქლორჰიდრინტრიოლი).
  14. NENAs (ნიტრატოეთილნიტრამინის ნაერთები) (CAS 17096-47-8, 85068-73-1, 82486-83-7, 82486-82-6 and 85954-06-9);
  15. PGN (poly-GLYN, პოლიგლიციდილნიტრატი ან პოლი (ნიტრატომეთილ-ოქსირანი)) (CAS 27814-48-8);
  16. (პოლინიტრატომეთილმეთილოქსეტანი) ან პოლი-NMMO (პოლი[3-ნიტრატომეთილ -3- მეთილოქსეტანი]) (CAS 84051-81-0);
  17. პოლინიტროორთოკარბონატები;;
  18. TVOPA (1,2,3-ტრი[1,2-ბი(დიფტორამინო)ეთოქსი] პროპანი ან ტრივინოქსიპროპანის ადუქტი) (CAS 53159-39-0);
  19. 4,5 დიაზიდომეთილ-2-მეთილ-1,2,3-ტრიაზოლი (იზო- DAMTR);
  20. PNO (პოლი(3-ნიტრატო ოქსეტანი));
  21. TMETN (ტრიმეთილოლეთან ტრინიტრატი) (CAS 3032-55-1);
- ვ. „დანამატები“, როგორცაა:
1. სპილენძის ფუძე სალიცილატი (CAS 62320-94-9);

2. BHEGA ((ბი-(2-ჰიდროქსიეთილ) გლიკოლამიდი) (CAS 17409-41-5);
3. BNO(ბუტადიენნიტრილოქსიდი);
4. ფეროცენის შემდეგი წარმოებულები:
  - ა. ბუტაცენი (CAS 125856-62-4);
  - ბ. კატოცენი (,2-ბი-ეთილფეროცენილპროპანი) (CAS 37206-42-1);
  - გ. ფეროცენკარბოქსილური მჟავები და ფეროცენკარბოქსილური მჟავის ეთერები;
  - დ. n-ბუტილფეროცენი (CAS 31904-29-7);
  - ე. ფეროცენის სხვა ადუქტური პოლიმერული წარმოებულები, რომლებიც არ არის მი-თითებული ჯგუფი 8-ის ვ.4) პუნქტში;
  - ვ. ეთილ-ფეროცენი (CAS 1273-89-8);
  - ზ. პროპილ-ფეროცენი;
  - თ. პენტილ-ფეროცენი; (CAS 1274-00-6);
  - ი. დიციკლოპენტილ-ფეროცენი;;
  - კ. დიციკლოჰექსილ-ფეროცენი;;
  - ლ. დიეთილ-ფეროცენი; (CAS 1273-97-8);
  - მ. დიპროპილ ფეროცენი;;
  - ნ. დიბუტილ -ფეროცენი; (CAS 1274-08-4);
  - ო. დიჰექსილ -ფეროცენი; (CAS 93894-59-8);
  - პ. აცეტილ -ფეროცენი; (CAS 1271-55-2)/1,1'-დიაცეტილ- ფეროცენი; (CAS 1273-94-5);
5. ტყვიის ბეტა-რეზორცილატი (CAS 20936-32-7) ან სპილენძის ბეტა-რეზორცილატი (CAS 70983-44-7);
6. ტყვიის ციტრატი (CAS 14450-60-3);
7. ბეტა-რეზორცილატის ან სალიცილატის ტყვია-სპილენძის ხელატები (CAS 68411-07-4);
8. ტყვიის მალეატი (CAS 19136-34-6);
9. ტყვიის სალიცილატი (CAS 15748-73-9);
10. ტყვიის სტანატი (CAS 12036-31-6);
11. MAPO (ტრის-1- (2-მეთილ)აზირიდინილ ფოსფინოქსიდი) (CAS 57-39-6); BOBBA 8 (ბის (2-მეთილაზირიდინილ) 2-(2-ჰიდროქსიპროპანოქსი)პროპილამინოფოსფინოქსიდი); და MAPO-ს სხვა წარმოებულები;
12. მეთილ BAPO (ბის(2-მეთილაზირიდინილ) 2-მეთილამინოფოსფინოქსიდი) (CAS 85068-72-0);
13. N-მეთილ -p-ნიტროანილინი (CAS 100-15-2);
14. 3-ნიტრაზა -1,5-ჰენტანდიზოციანატი (CAS 7406-61-9);
15. ლითონორგანული შემაკავშირებელი ნაერთები, როგორებიცაა:

- ა. ნეოპენტილი [დიალილ]ოქსი, ტრი[დიოქტილ]ფოსფატოტიტანატი (CAS 103850-22-2); ასევე ცნობილი, როგორც ტიტანი IV, 2,2[ბის-2-პროპენოლატომეთილი, ბუტანოლატო, ტრი(დიოქტილ) ფოსფატი] (CAS 110438-25-0); ან LICA 12 (CAS 103850-22-2);
- ბ. ტიტანი IV, [(2-პროპენოლატო -1) მეთილ, n-პროპანოლატომეთილ] ბუტანოლატო -1, ტრი[დიოქსილ]პიროფოსფატი ან KR3538;
- გ. ტიტანი IV, [(2-პროპენოლატო -1)მეთილ, n-პროპანოლატომეთილ]ბუტანოლატო-1, ტრი(დიოქტილ)ფოსფატი;~

16. პოლიციანოდიფტორამინოეთილენოქსიდი;

17. შემაკავშირებელი ნივთიერებები, როგორებიცაა:

- ა. 1,1R,1S-ტრიმეზოილ-ტრი(2-ეთილაზირიდინი) (HX-868, BITA) (CAS 7722-73-8);
- ბ. პოლიფუნქციური აზირიდინამიდები იზოფტალური, ტრიმეზინური, იზოციანურული ძირითადი რგოლით, რომლებსაც აგრეთვე აქვთ 2-მეთილის ან 2-ეთილაზირიდინის ჯგუფი.

შენიშვნა ჯგუფი 8-ის ვ.17.ბ ქვეპუნქტი შეიცავს ქვემოჩამოთვლილს:

- ა. 1,1H-იზოფტალილ-ბი(2-მეთილაზირიდინი)(HX-752) (CAS 7652-64-4);
- ბ. 2,4,6-ტრი(2-ეთილ-1-აზირიდინილ)-1,3,5-ტრიაზინი (HX-874) (CAS 18924-91-9);
- გ. 1,1'-ტრიმეთილადიპოილ-ბი(2-ეთილაზირიდინი) (HX-877)(CAS 71463-62-2).

18. პროპილენიმინი (2-მეთილაზირიდინი) (CAS 75-55-8);

19. წვრილდისპერსიული რკინის ოქსიდი (Fe2O3) (CAS 1317-60-8), რომლის კუთრი ზედაპირი მეტია 250 მ2/გ-ზე, ნაწილაკების საშუალო ზომაა 3.0 ნმ ან ნაკლები;

20. TEPAN (ტეტრაეთილენპენტამინაკ-რილონიტრილი)(CAS 68412-45-3); ციანოეთილირებული პოლიამინები და მათი მარილები;

21. TEPANOL (ტეტრაეთილენპენტა ამინაკრილონიტრილგლიციდოლი) (CAS 68412-46-4); ციანოეთილირებული პოლიამინები, ადუქტირებული გლიციდოლით და მათი მარილებით;

22. TPB (ტრიფენილბისმუტი) (CAS 603-33-8);

23. TEPB (ტრის (ეთოქსიფენილ)ბისმუტი) (CAS 90591-48-3);

ზ. შემდეგი „პრეკურსორები“:

N.B. ჯგუფი 8-ის გ ქვეჯგუფი შეეხება „ენერგეტიკულ მასალებს“, რომლებიც დამზადებულია ამ ნივთიერებებისგან:

1. BCMO (3,3-ბი(ქლორმეთილ)ოქსეტანი) (CAS 78-71-7)

(იხ. აგრეთვე ჯგუფი 8-ის ე.1 და ე.2) პუნქტები;

2. დინიტროაზეტიდინ – მესამეული -ბუტილის მარილი (CAS 125735-38-8) (იხ. აგრეთვე ჯგუფი 8-ის ა.28.) პუნქტი;

3. ჰექსააზაიზოვურტზიტანის წარმოებულები, მათ შორის HBIW (ჰექსაბენზილჰექსააზაიზოვურტზიტანი) (CAS 124782-15-6) (იხ. აგრეთვე ჯგუფის 8 პუნქტი ა.4.) და TAIW (ტეტრა-აცეტილდიბენზილჰექსააზაიზოვურტზიტანი) (CAS 182763-60-6) (იხ. აგრეთვე ჯგუფის 8 პუნქტი ა.4.);

4. ნივთიერებები, რომლებიც აღარ გამოიყენება 2013 წლიდან;

5. TAT (1,3,5,7 ტეტრააცეტილ-1,3,5,7-ტეტრააზაცკლოქტანი) (CAS 41378-98-7) (იხ. აგრეთვე ჯგუფი 8-ის ა.13.) პუნქტი;
6. 1,4,5,8-ტეტრააზადეკალინი (CAS 5409-42-7) (იხ. აგრეთვე ჯგუფი 8-ის ა.27.) პუნქტი;
7. 1,3,5- ტრიქლორბენზოლი (CAS 108-70-3) (იხ. აგრეთვე ჯგუფი 8-ის ა.23.) პუნქტი;
8. 1,2,4-ტრიჰიდროქსიბუტანი (1,2,4 ბუტანტრიოლი) (CAS 3068-00-6) ((იხ. აგრეთვე ჯგუფი 8-ის ე.5.) პუნქტი;
9. DADN (1,5-დიააცეტილ-3,7-დინიტრო-1, 3, 5, 7-ტეტრააზა-ციკლოქტანი) (იხ. აგრეთვე ჯგუფი 8-ის ა.13.) პუნქტი.

თ. „რეაქტიული მასალების“ ფხვნილები და ფორმები, როგორცაა:

1. ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი მასალების ფხვნილები, რომლებშიც ნაწილაკის ზომა ნებისმიერი მიმართულებით ნაკლებია 250  $\mu\text{m}$ -ზე და რომლებიც არ არის მითითებული ჯგუფი 8-ში.
  - ა. ალუმინი;
  - ბ. ნიობიუმი;
  - გ. ბორი
  - დ. ცირკონიუმი;
  - ე. მაგნიუმი;
  - ვ. ტიტანი;
  - ზ. ტანტალი;
  - თ. ვოლფრამი;
  - ი. მოლიბდენი; ან
  - კ. ჰაფნიუმი;
2. ფორმები, რომლებიც არ არის მითითებული 3, 4, 12 და 16 ჯგუფებში და რომლებიც დამზადებულია ჯგუფი 8-ის თ.1. პუნქტში ჩამოთვლილი ფხვნილებისგან.

#### ტექნიკური შენიშვნები

1. „რეაქტიული მასალები“ შემუშავებულია იმისათვის, რომ წარმოქმნას ეგზოთერმული რეაქცია მხოლოდ გადასვლის მაღალ ტემპერატურებზე და საბრძოლო იარაღებში ჩანართებად და გარსებად გამოსაყენებლად
2. „რეაქტიული მასალების“ ფხვნილები დამზადებულია, მაგალითად, მაღალი ენერგიით დაფქვის მეშვეობით.
3. „რეაქტიული მასალების“ ფორმები დამზადებულია, მაგალითად, სელექტიური ლაზერული შეცხოების გზით.

შენიშვნა 1 ჯგუფი 8-ის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ ნივთიერებებზე, თუ ისინი არ არის შედგენილი ან შერეული ჯგუფი 8-ის ა ქვეჯგუფში დასახელებულ „ენერგეტიკულ მასალებთან“ ან ჯგუფი 8-ის გ ქვეჯგუფში მითითებულ ფხვიერ ლითონებთან:

- ა. ამონიუმის პიკრატი (CAS 131-74-8);
- ბ. შავი დენთი;
- გ. ჰექსანიტროდიფენილამინი(CAS 131-73-7);

- დ. დიფტორამინი (CAS 10405-27-3);
- ე. ნიტროსახამებელი (CAS9056-38-6);
- ვ. კალიუმის ნიტრატი (CAS 7757-79-1);
- ზ. ტეტრანიტრონაფტალინი;
- თ. ტრინიტროანიზოლი;
- ი. ტრინიტრონაფტალინი;
- კ. ტრინიტროქსილენი;
- ლ. N-პიროლიდინონი; 1-მეთილ -2-პიროლიდინონი (CAS 872-50-4);
- მ. დიოქტილმალეატი (CAS 142-16-5);
- ნ. ეთილჰექსილაკრილატი (CAS 103-11-7);
- ო. ტრიეთილალუმინი (TEA) (CAS 97-93-8), ტრიმეთილალუმინი (TMA) (CAS 75-24-1), და სხვა პიროფორული ლითონის ალკილები და ლითიუმის, ნატრიუმის, მაგნიუმის, თუთიის ან ბორის არილები;
- პ. ნიტროცელულოზა (CAS 9004-70-0);
- ჟ. ნიტროგლიცერინი (ან გლიცეროლტრინიტრატი, ტრინიტროგლიცერინი) (NG) (CAS 55-63-0);
- რ. 2,4,6- ტრინიტროტოლუოლი (TNT) (CAS 118-96-7);
- ს. ეთილენდიამინდინიტრატი (EDDN) (CAS 20829-66-7);
- ტ. პენტაერიტრიტოლტეტრანიტრატი (PETN) (CAS 78-11-5);
- უ. ტყვიის აზიდი (CAS 13424-46-9), ტყვიის ნორმალური სტიფნატი (CAS 15245-44-0) და ტყვიის ფუძე სტიფნატი (CAS 12403-82-6), და პირველადი ფეთქებადი ნივთიერებები ან ფეთქებადი კომპოზიტები, აზიდების ან აზიდური კომპლექსების შემცველობით;
- ფ. ტრიეთილენგლიკოლდინიტრატი (TEGDN)(CAS 111-22-8);
- ქ. 2,4,6,-ტრინიტრორეზორცინოლი (სტიფნინ მჟავა) (CAS 82-71-3);
- ღ. დიეთილდიფენილმარდოვანა (CAS 85-98-3); დიმეთილდიფენილმარდოვანა (CAS 611-92-7); მეთილეთილდიფენილმარდოვანა [ცენტრალიტები];
- ყ. ,N-დიფენილმარდოვანა (არასიმეტრიული დიფენილმარდოვანა) (CAS 603-54-3);
- შ. მეთილ N- N-დიფენილმარდოვანა (არასიმეტრიული მეთილდიფენილურეა) CAS 13114-72-2);
- ჩ. ეთილ – N- N-დიფენილმარდოვანა (არასიმეტრიული ეთილდიფენილმარდოვანა) (CAS 64544-71-4);
- ც. 2-ნიტროდიფენილამინი (2-NDPA)(CAS 119-75-5);
- d. 4-ნიტროდიფენილამინი (4-NDPA)(CAS 836-30-6);
- წ. 2,2-დინიტროპროპანოლი (CAS 918-52-5);
- ჭ. ნიტროგუანიდინი (CAS 556-88-7) (იხ. ჩანაწერი 1C011.დ. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.)

შენიშვნა 2 ჯგუფი 8-ის მოქმედება არ ვრცელდება ამონიუმის პერქლორატზე (ჯგუფი 8, პუნქტი დ.2), NTO-ზე (ჯგუფი 8, პუნქტი ა.18.) ან კატოცენზე (ჯგუფი 8, ქვეპუნქტი ვ.4.ბ.) და პასუხობს ყველა შემდეგ მოთხოვნას:

- ა. სპეციალურად არის შექმნილი სამოქალაქო გამოყენების აირის გამომშავებელი დანადგარებისთვის;
- ბ. შედგება ან შერეულია არააქტიურ თერმორეაქტიურ შემკვრელებთან ან პლასტიფიკატორებთან და მისი მასა 250 გრამზე ნაკლებია;
- გ. შეიცავს მაქსიმუმ 80% პერქლორატს (ჯგუფი 8, პუნქტი დ.2.) აქტიური ნივთიერების მასაში;
- დ. აქვს 4გ ან ნაკლები NTO (ჯგუფი 8, პუნქტი ა.18); და
- ე. შეიცავს 1 გრამ ან ნაკლებ კატოცენს (ჯგუფი 8, ქვეპუნქტი ვ.4.ბ.).

ჯგუფი 9

**საბრძოლო ხომალდები (წყალზედა და წყალქვეშა), სპეციალური საზღვაო აღჭურვილობა, მათი მოწყობილობები, კომპონენტები და სხვა საზღვაო ტრანსპორტი, როგორიცაა:**

N.B. სახელმძღვანელო და სანავიგაციო აღჭურვილობა იხ. ჯგუფი 11.

ა. ხომალდები და მათი კომპონენტები:

- 1. სპეციალურად სამხედრო გამოყენებისთვის შექმნილი ან მოდიფიცირებული (წყალზედა და წყალქვეშა) ხომალდები, მიუხედავად მათი მიმდინარე საექსპლუატაციო მდგომარეობისა და ფუნქციონალური მზადყოფნისა, აგრეთვე მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ იარაღის გასაშვები სისტემები ან ჯავშანი. ამგვარი ხომალდების კორპუსები და მათი ნაწილები, აგრეთვე მათი კომპონენტები, რომლებიც სპეციალურად სამხედრო გამოყენებისთვის არის შემუშავებული;

შენიშვნა ჯგუფი 9-ის ა.1 პუნქტი მოიცავს სარანსპორტო საშუალებას, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ან მოდიფიცირებული მყვინთავების გადასაცვანად.

- 2. წყალზედა ხომალდები, გარდა ჯგუფი 9-ის ა.1 პუნქტში ჩამოთვლილი წყალზედა ხომალდებისა, რომლებსაც აქვთ ხომალდზე სტაციონარულად დამონტაჟებული ან ჩაშენებული მოწყობილობები, როგორიცაა:

- ა. ჯგუფ 1-ში მითითებული ავტომატური შეიარაღება ან ჯგუფებში 2, 4, 12 ან 19 მითითებული შეიარაღება, ან 12,7- მილიმეტრიანი ან მეტი კალიბრის შეიარაღების შესაფერისი მყარი დამაგრების წერტილები ('სამაგრები').

ტექნიკური შენიშვნა

ამ ჯგუფის მიზნებისათვის, 'სამაგრები' გულისხმობს იარაღის დამაგრების ადგილებს ან იარაღის დასამონტაჟებელ კონსტრუქციებს.

- ბ. ჯგუფ 5-ში მითითებული ცეცხლის მართვის სისტემები;
- გ. ხომალდები, რომლებსაც აქვს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მახასიათებელი:
  - 1. 'ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) დაცვა'; და
  - 2. 'წინასწარი დასველების ან რეცხვის სისტემა' მომწამლავი ნივთიერებების უვნებელყოფის მიზნით; ან

ტექნიკური შენიშვნები

- 1. 'ქბრბ დაცვა' არის ავტონომიური შიდა სივრცე ისეთი ისეთი დამატებითი ფუნქციებით, როგორიცაა: ზედმეტი წნევა, იზოლირებული სავენტილაციო სისტემები, შეზღუდული სავენტილაციო ღიობები ქბრბ ფილტრებით, პერსონალის შეზღუდული/ გაძლიერებული შესასვლელები საჰაერო შლუზებით.

2. 'წინასწარი დასველების ან რეცხვის სისტემა' ზღვის წყლის გაფრქვევის სისტემაა, რომელსაც შეუძლია ერთდროულად დაასველოს ხომალდის ზედნაშენი და გემბანი.

დ. ჯგუფი 4-ის ბ ქვეჯგუფში, ჯგუფი 5-ის გ ქვეჯგუფში, 5.გ და ჯგუფი 11-ის ა ქვეჯგუფში მითითებული იარაღსაწინააღმდეგო აქტიური სისტემები, რომლებიც შეიცავენ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს:

1. 'ქბრბ დაცვა';
2. კორპუსი და ზედნაშენი, რომელიც სპეციალურადაა შექმნილი რადარის დასხივების ამრეკლავი განივკვეთის შესამცირებლად;
3. თერმული კვალის შემამცირებელი მონყობილობა (მაგალითად, გამონაბოლქვი აირის გაგრილების სისტემა), გარდა იმ მონყობილობებისა, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი ელექტროსადგურის საერთო წარმადობის გასაზრდელად ან გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად; ან
4. დემაგნეტიზაციის სისტემა, რომლის მიზანია მთლიანი ხომალდის მაგნიტური მაჩვენებლის (სიგნატურის) შემცირება.

ბ. სპეციალურად სამხედრო გამოყენებისთვის შემუშავებული ძრავები და ამძრავი სისტემები და მათი კომპონენტები:

1. სპეციალურად წყალქვეშა ნავებისთვის შემუშავებული დიზელის ძრავები;
2. წყალქვეშა ნავებისთვის სპეციალურად შემუშავებული ელექტროძრავები შემდეგი მახასიათებლებით:
  - ა. გამოსავალი სიმძლავრე 0.75 ან მეტი მგტ (1000 ცხენის ძალა);
  - ბ. სწრაფი რევერსი;
  - გ. თხევადი გაგრილება; და
  - დ. სრული დახურულობა;
3. დიზელის ძრავები, რომლებსაც აქვთ ყველა შემდეგი მახასიათებელი:
  - ა. გამოსავალი სიმძლავრე – 37,3 ან მეტი კვტ (50 ცხენის ძალა); და
  - ბ. 'არამაგნიტური' ნივთიერებების შემცველობა – საერთო მასის 75%-ზე მეტი;

ტექნიკური შენიშვნა

ჯგუფი 9-ის ბ.3 პუნქტში 'არამაგნიტური' ნივთიერებები გულისხმობს 2-ზე ნაკლები ფარდობითი გამტარობის ნივთიერებებს

4. 'ჰაერდამოუკიდებელი ამძრავი' სისტემები (AIP), რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი წყალქვეშა ნავებისათვის;

ტექნიკური შენიშვნა

'ჰაერდამოუკიდებელი გამწევი' სისტემები (AIP) წყალქვეშა ნავს აძლევს შესაძლებლობას აამოქმედოს თავისი გამწევი სისტემები ატმოსფერულ ჟანგბადთან კონტაქტის გარეშე იმაზე მეტი დროის განმავლობაში, ვიდრე აკუმულატორის გამოყენებით იქნებოდა შესაძლებელი. ჯგუფი 9-ის ბ.4 პუნქტში „ჰაერდამოუკიდებელი გამწევი სისტემები არ შეიცავს ბირთვულ ენერჯიას.

- გ. სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული წყალქვეშა აღმოჩენის მონყობილობები, აგრეთვე სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული მათი მართვის მონყობილობები და კომპონენტები.
- დ. წყალქვეშა ნავისა და ტორპედოს საწინააღმდეგო ბადეები, სპეციალურად შემუშავებული სამხედრო გამოყენებისთვის.



- ე. ხომალდები და კომპონენტები, რომლებიც არ გამოიყენება 2003 წლიდან
- ვ. სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული კაბელის შემყვანები და კონექტორები, რომლებიც ხომალდის გარე აღჭურვილობასთან კონტაქტის შესაძლებლობას იძლევა და სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული მათი კომპონენტები;

შენიშვნა *ჯგუფი 9-ის ვ ქვეჯგუფი მოიცავს ხომალდის ერთსადენიან, მრავალსადენიან, კოაქსიალურ ან მიკროტალღოვან კონექტორებს, ასევე კაბელის შემყვანებს, რომლებიც ინარჩუნებენ ჰერმეტიულობას და აუცილებელ თვისებებს 100 მეტრზე მეტ წყალქვეშა სიღრმეებზე; ასევე ოპტიკურბოჭკოვან შემაერთებლებს და ოპტიკურკორპუსიან პენეტრატორებს, რომლებიც სპეციალურადაა შემუშავებული 'ლაზერული' გამოსხივების გადასაცემად, მიუხედავად სიღრმისა. ამ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება ჩვეულებრივი გამწვევი ლილვისა და ჰიდროდინამიკურად მართვადი დგუმის ღეროს კაბელის შემყვანებზე.*

- ზ. უხმაურო საკისრები, რომლებსაც აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ნებისმიერი, აგრეთვე მათი კომპონენტები და საბრძოლო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული აღჭურვილობა, რომელიც შეიცავს ამ საკისრებს, როგორცაა:
  1. გაზის ან მაგნიტური საკიდი მონყობილობები;
  2. სიგნატურის მართვის აქტიური მონყობილობები; ან
  3. ვიბრაციის დახშობის საშუალებები.

- თ. საზღვაო ბირთვული და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა და კომპონენტები:
  1. ბირთვული ენერჯის წარმომქმნელი და ამძრავი აღჭურვილობა, რომელიც სპეციალურადაა შექმნილი ჯგუფი 9-ის ა ქვეჯგუფში მითითებული ხომალდებისთვის და მათი კომპონენტები, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი ან მოდიფიცირებული სამხედრო გამოყენებისთვის.

ტექნიკური შენიშვნა

*ჯგუფი 9-ის თ.1 პუნქტში 'მოდუფიცირებული' ნიშნავს ნებისმიერ სტრუქტურულ, ელექტრულ, მექანიკურ ან სხვა ცვლილებას, რომელიც არასამხედრო დანიშნულების ობიექტს მიანიჭებს ისეთ სამხედრო შესაძლებლობებს, რომლებიც დამახასიათებელია სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შექმნილი ობიექტისთვის.*

შენიშვნა *ჯგუფი 9-ის თ.1 პუნქტი მოიცავს „ბირთვულ რეაქტორებს“.*

ჯგუფი 10

**სამხედრო დანიშნულებისთვის სპეციალურად შექმნილი ან მოდიფიცირებული „საჰაერო ხომალდი“, „ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატი“, „უპილოტო საფრენი აპარატი“, სანავიგაციო ძრავები, მათი აღჭურვილობა და კომპონენტები:**

N.B. *სამართავი და სანავიგაციო აღჭურვილობა – იხ. ჯგუფი 11.*

- ა. პილოტიანი „საჰაერო ხომალდები“ და „ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატები“ და მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები;
- ბ. რომლებიც არ გამოიყენება 2011 წლიდან;
- გ. უპილოტო „საჰაერო ხომალდები“, „ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატები“, შესაბამისი აღჭურვილობა და მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები:
  1. უპილოტო „საფრენი აპარატები“, დისტანციურად მართვადი საფრენი აპარატები, ავტონომიურად პროგრამირებადი საფრენი აპარატები და „ჰაერზე მსუბუქი უპილოტო საფრენი აპარატები“;
  2. გამშვები სისტემები, დაბრუნების აღჭურვილობა და მიწისზედა დამხმარე აღჭურვილობა;
  3. მართვის და კონტროლისთვის შექმნილი აღჭურვილობა;
- დ. საავიაციო ძრავები და სპეციალურად მათთვის შემუშავებული კომპონენტები;

ე. ჰაერში სანვავით გამართვის მონყობილობა, სპეციალურად შემუშავებული ან მოდიფიცირებული შემდეგი ჩამონათვალიდან ნებისმიერისთვის, ასევე მისთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები:

1. ჯგუფი 10-ის ა ქვეჯგუფში მითითებული „საჰაერო ხომალდი“; ან
2. ჯგუფი 10-ის გ ქვეჯგუფში მითითებული უპილოტო „საჰაერო აპარატები“;

ვ. ჯგუფი 10-ის ა ქვეჯგუფში მითითებული საჰაერო ხომალდისთვის ან ჯგუფი 10-ის დ ქვეჯგუფში მითითებული საავიაციო ძრავებისთვის სპეციალურად შემუშავებული სახმელეთო-სააეროდრომო მონყობილობები.

ტექნიკური შენიშვნა

*‘მინის ზედა აღჭურვილობა’ მოიცავს სანვავის წნევით შევსების მონყობილობას და ძნელად მისადგომ ადგილებში მოქმედებების უზრუნველყოფ აღჭურვილობას;*

ზ. საჰაერო ხომალდში სიცოცხლის უზრუნველყოფის აღჭურვილობა, ეკიპაჟის უსაფრთხოების აღჭურვილობა და ავარიული გასვლის სხვა მონყობილობები, რომლებიც ჯგუფი 10-ის ა ქვეჯგუფში არ არის დასახელებული და რომლებიც შემუშავებულია ჯგუფი 10-ის ა ქვეჯგუფში მითითებული „საჰაერო ხომალდისათვის“;

შენიშვნა ჯგუფი 10-ის ზ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება ეკიპაჟის ჩაფხუტებზე, რომლებსაც არ აქვს სამაგრები ან ფიტინგები, გათვალისწინებული ევროკავშირის სამხედრო აღჭურვილობით ნუსხით.

N.B. ჩაფხუტების შესახებ, იხ. ასევე ჯგუფი 13-ის გ ქვეჯგუფი

თ. პარაშუტები, პარაპლანები და შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე სპეციალურად მათთვის შექმნილი კომპონენტები:

1. პარაშუტები, რომლებიც არ არის დასახელებული სამხედრო პროდუქციის ნუსხაში;
2. პარაპლანები;
3. აღჭურვილობა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი დიდი სიმაღლიდან პარაშუტით ხტომისათვის (მაგალითად, კოსტუმები, სპეციალური ჩაფხუტები, სუნთქვის სისტემები, ნავიგაციის აღჭურვილობა);

ი. ტვირთების პარაშუტებით ჩამოყრისთვის განკუთვნილი ავტომატური პილოტირების სისტემები და მართვითი გახსნის აღჭურვილობა.

შენიშვნა 1 ჯგუფი 10-ის ა ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება „საჰაერო ხომალდებზე“ და „ჰაერზე მსუბუქ საფრენ აპარატებზე“ ან „საჰაერო ხომალდების“ იმ ვარიანტებზე, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი სამხედრო დანიშნულებით და რომლებიც წარმოადგენს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილს:

- ა. არასამხედრო გამოყენების „საჰაერო ხომალდები“;
- ბ. ხომალდები და აპარატები, რომლებიც არ არის შექმნილი სამხედრო გამოყენებისთვის და არ არის აღჭურვილი ხელსაწყოებით და აღჭურვილობებით, რომლებიც სპეციალურად არის შემუშავებული ან მოდიფიცირებული სამხედრო გამოყენებისთვის; და
- გ. სერტიფიცირებულია სამოქალაქო დანიშნულებისთვის ევროკავშირის რომელიმე წევრი ან ვასენარის ხელშეკრულების მონაწილე ერთი ან მეტი ქვეყნის სამოქალაქო საავიაციო უწყების მიერ .

შენიშვნა 2 ჯგუფი 10-ის დ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება:

- ა. სამხედრო გამოყენებისთვის შექმნილ ან მოდიფიცირებულ საავიაციო ძრავებზე, რომლებიც სერტიფიცირებულია „სამოქალაქო საჰაერო ხომალდში“ გამოყენებისთვის ევროკავშირის წევრი ან ვასენარის ხელშეკრულებაში მონაწილე ერთი ან

მეტი ქვეყნის სამოქალაქო საავიაციო უწყების მიერ, ან მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები;

- ბ. დგუშიან ძრავებზე და მათთვის სპეციალურად შემუშავებულ კომპონენტებზე, გარდა იმ ძრავებისა, რომლებიც სპეციალურად არის შემუშავებული „უპილოტო საფრენი აპარატებისათვის“.

შენიშვნა 3 ჯგუფი 10-ის ა და დ ქვეჯგუფებში მითითებული არასამხედრო გამოყენების საჰაერო ხომალდებისათვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა ან სამხედრო გამოყენებისთვის მოდიფიცირებული საავიაციო ძრავები შეეხება მხოლოდ იმ სამხედრო კომპონენტებს ან სამხედრო დანიშნულების აღჭურვილობას, რომლებიც აუცილებელია სამხედრო დანიშნულებით მოდიფიცირებისათვის.

შენიშვნა 4 ჯგუფი 10-ის ა ქვეჯგუფში სამხედრო გამოყენება გულისხმობს საბრძოლო მოქმედებას, სამხედრო დაზვერვას, შეტევას, სამხედრო მომზადებას, ლოჯისტიკურ დახმარებას და და ჯარისა და სამხედრო აღჭურვილობის ტრანსპორტირებასა და დესანტირებას.

შენიშვნა 5 ჯგუფი 10-ის ა ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება საჰაერო ხომალდებზე ან ჰაერზე მსუბუქ საფრენ აპარატებზე, რომლებიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ მოთხოვნას:

- ა. დამზადებულია 1946 წლამდე;
- ბ. არ შეიცავს საგნებს, რომლებიც ჩამოთვლილია სამხედრო პროდუქციის ნუსხაში, თუ ისინი აუცილებელი არაა უსაფრთხოებისა და საჰაერო ვარგისიანობის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც დადგენილია ევროკავშირის წევრი ან ვასენარის ხელშეკრულების მონაწილე ერთი ან მეტი წევრი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის უწყების მიერ; და
- გ. არ შეიცავს შეიარაღებას, რომელიც დასახელებულია სამხედრო პროდუქციის ნუსხაში, მათ გარდა, რომლებიც არაფუნქციონერებადია და შეუძლებელია მათი კვლავ ამოქმედება.

შენიშვნა 6 ჯგუფი 10-ის დ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება დგუშიან საავიაციო ძრავებზე, რომლებიც დამზადებულია 1946 წლამდე.

ჯგუფი 11

**ელექტროაღჭურვილობა, „კოსმოსური ხომალდი“ და კომპონენტები, რომლებიც არ არის დასახელებული სამხედრო პროდუქციის ნუსხაში:**

- ა. სპეციალურად სამხედრო გამოყენებისათვის შემუშავებული ელექტროაღჭურვილობა და მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები;

შენიშვნა ჯგუფი 11-ის ა ქვეჯგუფში შედის:

- ა. უკუქმედების და კონტრუკუქმედების ელექტროაღჭურვილობა (ე.ი. აღჭურვილობა, რომელიც შექმნილია გარე ან ცრუ სიგნალების გადასაცემად რადიოლოკაციური სადგურებისთვის ან რადიომიმღებებისთვის, ან, სხვაგვარად, მონინაალმდეგის ელექტრომიმღებებისათვის სიგნალის მიღების, მათი მუშაობის ან ეფექტური გამოყენებისთვის დაბრკოლების შესაქმნელად, მათ შორის, უკუქმედების აპარატურისთვის), მათ შორის, ჩამხშობი და ჩახშობის სანინაალმდეგო აღჭურვილობა;
- ბ. სიხშირის სწრაფი ცვლის მონყობილობა;
- გ. ელექტრონული სისტემები ან აღჭურვილობა, შემუშავებული ელექტრომაგნიტური სპექტრის თვალთვალისა და კონტროლისთვის სამხედრო დაზვერვის ან უსაფრთხოების მიზნით, ან ამგვარი თვალთვალისა თუ კონტროლის სანინაალმდეგოდ შემუშავებული აღჭურვილობა;
- დ. წყალქვეშა კონტრქმედებებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მათ შორის, აკუსტიკური და მაგნიტური ჩახშობის ან შეცდომაში შეყვანის აღჭურვილობა,

შექმნილი უცხო ან ცრუ სიგნალების შესაყვანად სონარის მიმღებში.

- ე. მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების აღჭურვილობა, მონაცემთა დაცვის აპარატურა და გადაცემისა და კავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფი აპარატურა, რომელსაც დაშიფრვის ფუნქცია აქვს;
- ვ. იდენტიფიკაციის, ავთენტიფიკაციის, შიფრის გასაღების შეყვანის (კრიპტოგრაფული) აღჭურვილობა და შიფრის გასაღების მართვის, შემუშავებისა და გავრცელების აღჭურვილობა;
- ზ. მოძრაობის მართვისა და ნავიგაციის აღჭურვილობა;
- თ. ტროპოსფერული რადიოკავშირის უზრუნველყოფი ციფრული აპარატურა;
- ი. რადიოტექნიკური დაზვერვისთვის სპეციალურად შემუშავებული ციფრული დემოდულატორები;
- კ. „მართვის და კონტროლის ავტომატიზებული სისტემები“.

**N.B.** „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომელიც დაკავშირებულია სამხედრო „პროგრამული უზრუნველყოფით“ განსაზღვრულ რადიომიმღებში, იხ. ჯგუფი 21.

- ბ. „თანამგზავრული ნავიგაციური სისტემებისთვის“ საჭირო ჩამხშობი აპარატურა და მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები;
- გ. სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული ან მოდიფიცირებული „კოსმოსური ხომალდები“ ან მათი კომპონენტები, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი სამხედრო გამოყენებისთვის.

ჯგუფი 12

**შეიარაღების მაღალსიჩქარიანი სისტემები, რომლებიც კინეტიკურ ენერგიას იყენებენ, და შესაბამისი აღჭურვილობა, აგრეთვე მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები:**

- ა. მიზნის გასანადგურებლად ან მასზე ზემოქმედების მოსახდენად და მისთვის ამოცანის განხორციელებაში დაბრკოლების შესაქმნელად სპეციალურად შექმნილი კინეტიკური ენერგიის გამომყენებელი შეიარაღების სისტემები;
- ბ. სპეციალურად შემუშავებული გამოცდისა და შეფასების საშუალებები, ასევე გამოსაცდელი მოდელები, მათ შორის, დიაგნოსტიკური აპარატურა და მიზნები კინეტიკური ენერგიის გამომყენებელი ჭურვებისა და სისტემების დინამიკური გამოცდის ჩასატარებლად.

**N.B.** შეიარაღების ის სისტემები, რომელშიც გამოყენებულია ქვეკალიბრის საბრძოლო მასალა ან მხოლოდ ქიმიური ძრავები და შესაბამისი საშუალებები, იხ. ჯგუფი 1 – ჯგუფი 4.

**შენიშვნა 1** ჯგუფი 12-ის მოქმედება ვრცელდება ნაწარმზე, რომელიც სპეციალურად არის შემუშავებული კინეტიკური ენერგიის გამომყენებელი შეიარაღების სისტემებისთვის:

- ა. გამშვები დანადგარები, რომელთაც შეუძლიათ განავითარონ აჩქარება 0,1 გ-ზე მეტი მასისთვის და გადააჭარბონ 1,6 კმ/სთ-ს სიჩქარეს, ერთჯერადი ან სწრაფი სროლის რეჟიმში;
- ბ. ენერგიის პირველადი გენერირების სისტემები, ელექტროჯგაფშნის შექმნის, ენერგიის შენახვის (მაგ. მაღალი ენერგიის კონდენსატორები), სითბური მართვის, კონდიცირების, გადამრთველი ან სანვავის მართვის სისტემები; ასევე ელექტროკავშირები კვების წყაროს, ქვემეხსა და საბრძოლო კომპლექსის ამძრავის სხვა ფუნქციებს შორის;

**N.B.** მაღალი ენერგიის დაგროვების კონდენსატორების შესახებ იხ. ასევე ჩანაწერი 3A001.ე.2. ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.

გ.

- დ. თვითდამიზნების, დამიზნების ან ჭურვებისთვის მიმართულების წევის ძალის (გვერდითი აჩქარება) შექმნის სისტემები.

შენიშვნა 2 ჯგუფი 12-ის მოქმედება ვრცელდება შეიარაღების სისტემებზე, რომლებიც იყენებენ ნებისმიერ მეთოდს შემდეგი საშუალებებიდან:

- ა. ელექტრომაგნიტური;
- ბ. ელექტროთერმული;
- გ. პლაზმური;
- დ. მსუბუქ აიროვანი; ან
- ე. ქიმიური (როდესაც გამოიყენება ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად).

ჯგუფი 13

**დაჯავშნული ან დაცვითი აღჭურვილობა, კონსტრუქციები და კომპონენტები, როგორცაა:**

- ა. ლითონისგან ან არალითონისგან დამზადებული ჯავშანი, რომელიც:
  - 1. წარმოებულია სამხედრო სტანდარტების ან სპეციფიკაციების შესაბამისად; ან
  - 2. შესაფერისია სამხედრო გამოყენებისთვის.

N.B. სხეულის ჯავშანფილეტების ფილები იხ. ჯგუფი 13-ის დ პუნქტში.

- ბ. ლითონის, არალითონური მასალებისგან და მათი კომბინაციებისგან შექმნილი კონსტრუქციები, სპეციალურად შემუშავებული სამხედრო სისტემების ბალისტიკური დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე სპეციალურად მათთვის შემუშავებული კომპონენტები.
- გ. ჩაფხუტები, წარმოებული სამხედრო სტანდარტების ან სპეციფიკაციების, ან ანალოგიური ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, ასევე მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები, როგორცაა: ჩაფხუტის კორპუსი, ჩაფხუტის შიდა ფენა და შუასაადებები კომფორტულად მოსარგებად.

N.B. სამხედრო ჩაფხუტის სხვა კომპონენტები და აქსესუარები იხ. ევროკავშირის სამხედრო პროდუქციის ნუსხის შესაბამის ჩანაწერში.

- დ. რბილი ჯავშანი ან დამცავი ტანსაცმელი, აგრეთვე მათი კომპონენტები, როგორცაა:
  - 1. სამხედრო სტანდარტების ან სპეციფიკაციების შესაბამისად წარმოებული ჯავშანფილეტები და დამცავი ტანსაცმელი, აგრეთვე მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები;
 

შენიშვნა ჯგუფი 13-ის დ.1 პუნქტში სამხედრო სტანდარტები ან სპეციფიკაციები მინიუმ მოიცავს ფრეგმენტაციისაგან დაცვის სპეციფიკაციებს;
  - 2. სხეულის ჟავშანფილეტის მყარი ჯავშანფილეტები, რომლებიც უზრუნველყოფს III დონის ან უფრო მაღალ NIJ 0101.06, 2008წლის ივლისი) ბალისტიკურ დაცვას ან ეროვნულ ეკვივალენტებს;

შენიშვნა 1 ჯგუფის 13 ქვეჯგუფის ბ მოქმედება ვრცელდება მასალაზე, რომელიც სპეციალურად არის შემუშავებული ფეთქებადსაშიში აქტიური ჯავშნის შესაქმნელად ან საბრძოლო თავშესაფრების მოსაწყობად

შენიშვნა 2 ჯგუფი 13-ის გ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება ჩვეულებრივ ფოლადის ჩაფხუტებზე, რომლებიც არ არის მოდიფიცირებული ან შემუშავებული დამხმარე მონყობილობების დასამაგრებლად ან არ არის აღჭურვილი დამხმარე მონყობილობებით.

შენიშვნა 3 ჯგუფი 13-ის გ და დ ქვეჯგუფების მოქმედება არ ვრცელდება ჩაფხუტებზე, დამცავ სამოსზე ან ჯავშანფილეტებზე, რომლებიც შემუშავებულია მესაკუთრის პირადი დაცვისთვის;

შენიშვნა 4 სამხედრო მიზნებისთვის სპეციალურად შემუშავებულ სამხედრო ჩაფხუტებად ითვლება მხოლოდ ჯგუფი 13-ის გ ქვეჯგუფში მითითებული ჩაფხუტები, რომლებიც სპეციალურად არის შემუშავებული გამნადმველებისთვის.

**N.B. 1** იხილეთ ასევე ჩანაწერი 1A005 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში;

**N.B. 2** ჯავშანსამოსის „ბოჭკოვანი და ფილამენტური მასალა“, რომელიც გამოიყენება ჯავშანშილეტებისა და ჩაფხუტების წარმოებაში, იხ. ჩანაწერში 1C010 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.

ჯგუფი 14

**‘სპეციალიზებული აღჭურვილობა სამხედრო მომზადებისთვის’ ან საომარი სცენარების სიმულაციისათვის, სიმულაციური აპარატურა, რომელიც სპეციალურად არის შემუშავებული ნებისმიერი იმ სასროლი იარაღის ან შეიარაღების გამოყენების სწავლებაში, რომლებიც მითითებულია 1 ან 2 ჯგუფებში, აგრეთვე მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები და აქსესუარები.**

ტექნიკური შენიშვნა

‘სპეციალიზებული აღჭურვილობა სამხედრო წვრთნებისთვის’ გულისხმობს შემდეგს: შეტყვის სწავლებას, საბრძოლო გაფრენების შესწავლას, რადიოლოკატორებს, რადარული სამიზნის გენერატორებს, საარტილერიო მომზადების საშუალებებს, წყალქვეშა ნავების სანინააღმდეგო სასწავლო საბრძოლო მოქმედებების განსახორციელებელ მონყობილობებს, საფრენ სიმულატორებს (მათ შორის, ადამიანის მიერ მართული ცენტრიფუგები მფრინავების/კოსმონავტების მოსამზადებლად), რადარულ, პილოტირების, საფრენი აპარატების მართვის, რაკეტების გაშვების სასწავლო მონყობილობებს, მიზნებს, ‘საჰაერო ხომალდ’ – დრონებს, იარაღისადმი მოპყრობის, უპილოტო „საჰაერო ხომალდების“ მართვის სასწავლო მონყობილობებს და მოძრავ სასწავლო სისტემებს და სასწავლო მონყობილობებს მიწისზედა საბრძოლო ოპერაციების განსახორციელებლად;

შენიშვნა 1 ჯგუფი 14 მოიცავს სპეციალურად სამხედრო გამოყენებისთვის შემუშავებულ და მოდიფიცირებულ გამოსახულების ფორმირების და გარემო ვითარების ინტერაქტიურ სისტემებს, რომლებიც განკუთვნილია სიმულატორებისთვის.

შენიშვნა 2 ჯგუფი 14-ის მოქმედება არ ვრცელდება აღჭურვილობაზე, რომელიც სპეციალურადაა შემუშავებული სანადირო ან სპორტული იარაღის სროლაში სავარჯიშოდ;

ჯგუფი 15

**სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული გამოსახულების დასამუშავებელი ან დაზვერვის სანინააღმდეგო აპარატურა, აგრეთვე მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები და აქსესუარები, როგორცაა:**

- ა. ჩამწერი მონყობილობები და გამოსახულების დასამუშავებელი აპარატურა;
- ბ. კამერები, ფოტოგრაფიული აღჭურვილობა და ფირის დასამუშავებელი აღჭურვილობა;
- გ. გამოსახულების სიმკვეთრის გამაძლიერებელი აღჭურვილობა;
- დ. ინფრანითელი ან სითბური გამოსახულების ფორმირების აღჭურვილობა;
- ე. გამოსახულების მიმღები რადიოლოკაციური სენსორული აღჭურვილობა;
- ვ. ჯგუფი 15-ის ა-ე ქვეჯგუფებში მითითებული აღჭურვილობის უკუქმედების აღჭურვილობა და კონტრუკუქმედების აღჭურვილობა.

შენიშვნა ჯგუფი 15-ის ვ ქვეჯგუფის მოქმედება ვრცელდება აღჭურვილობაზე, რომელიც შემუშავებულია სამხედრო ვიზუალიზაციის ხელშესაძლელად ან მათი ეფექტურობის შესამცირებლად ან ამგვარი ქმედებების შედეგების შესამცირებლად.

შენიშვნა ჯგუფი 15-ის მოქმედება არ ვრცელდება „გამოსახულების სიმკვეთრის გასაძლიერებელ პირველი თაობის ოპტიკურ-ბოჭკოვან გარდამქმნელებზე“ ან აღჭურვილობაზე, რომელიც სპეციალურადაა შემუშავებული „გამოსახულების სიმკვეთრის გასაძლიერებელი პირველი თაობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი გარდამქმნელების“ დასამონტაჟებლად;

**N.B.** „გამოსახულების სიმკვეთრის გასაძლიერებელი პირველი თაობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი გარდამქმნელების“ შემცველი იარაღის სამიზნეები იხ. 1, 2 ჯგუფებში და 5.ა. ქვეჯგუფში.

**N.B.** იხ. აგრეთვე ჩანაწერი 6A002.ა.2. და 6A002 ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.

ჯგუფი 16

**ჭედური, ჩამოსხმული და სხვა სახის დაუსრულებელი ნაკეთობები, სპეციალურად შემუშავებული 1, 2, 3, 4, 6, 9, 10, 12 ან 19 ჯგუფებში მითითებული ნაწარმისათვის.**

შენიშვნა ჯგუფი 16-ის მოქმედება ვრცელდება დაუსრულებელ პროდუქტებზე, რომელთა განსაზღვრა შესაძლებელია მასალის შემადგენლობის, გეომეტრიის ან ფუნქციის მიხედვით.

ჯგუფი 17

**ალჭურვილობა, მასალები და „ბიბლიოთეკები“, აგრეთვე სპეციალურად მათთვის შექმნილი კომპონენტები, როგორცაა:**

ა. ავტონომიური ყვინთვისა და წყალქვეშა ცურვის აპარატები, სპეციალურად შემუშავებული ან მოდიფიცირებული სამხედრო გამოყენებისთვის, როგორცაა:

1. ავტონომიური სუნთქვის აპარატები დახურული ან ნახევრად დახურული ციკლით;
2. წყალქვეშა ცურვის აპარატი, სპეციალურად შემუშავებული ჯგუფი 17-ის ა.1 პუნქტში მითითებულ საყვინთ აპარატურასთან ერთად გამოსაყენებლად.

N.B. იხ. აგრეთვე ჩანაწერი 8A002.g. ევროკავშირის ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში.

ბ. სამშენებლო ალჭურვილობა, სპეციალურად შემუშავებული სამხედრო გამოყენებისთვის;

გ. სიგნატურის დასახშობი ფიტინგები, გადახურვები და დამუშავების საშუალებები, სპეციალურად შექმნილი სამხედრო გამოყენებისთვის;

დ. საბრძოლო მოქმედებების ზონაში გამოსაყენებლად სპეციალურად შემუშავებული სავეღე-საინჟინრო ალჭურვილობა;

ე. „რობოტები“, „რობოტების“ მაკონტროლებლები და მანიპულატორები, რომლებსაც აქვთ ნებისმიერი შემდეგი მახასიათებელი:

1. სპეციალურად არის შემუშავებული სამხედრო გამოყენებისთვის;
2. ალჭურვილია ბალისტიკური ნამსხვრევებისგან ჰიდრაულიკური ხაზების დაცვის საშუალებებით (თვითდალუქვადი მილსადენები) და ჰიდრაულიკური სითხეების გამოსაყენებლად, რომელთა აალების ტემპერატურა 839 K-ზე (566 °C) მეტია; ან
3. სპეციალურად არის შემუშავებული ან გათვლილი იმპულსურ ელექტრომაგნიტურ ველში სამუშაოდ.

ტექნიკური შენიშვნა

ელექტრომაგნიტური იმპულსი არ გულისხმობს გაუთვალისწინებელ ჩახშობას, რომელიც გამონვეულია ახლომდებარე აპარატურის ელექტრომაგნიტური გამოსხივებით (მაგალითად, აპარატურა, მონყობილობები და ელექტრომონყობილობები), ან ელვას.

ვ. 'ბიბლიოთეკები', სპეციალურად შექმნილი ან მოდიფიცირებული სამხედრო გამოყენებისთვის იმ სისტემებთან, ალჭურვილობასთან ან კომპონენტებთან, რომელიც მოყვანილია სამხედრო პროდუქციის ნუსხაში;

ზ. სპეციალურად სამხედრო გამოყენებისთვის შემუშავებული ბირთვული ენერჯის მაგენერირებელი დანადგარები ან ამძრავი დანადგარები, მათ შორის – ბირთვული რეაქტორები, ასევე მათი კომპონენტები, სპეციალურად შემუშავებული ან მოდიფიცირებული სამხედრო გამოყენებისთვის

შენიშვნა ჯგუფი 17-ის ზ ქვეჯგუფი მოიცავს „ბირთვულ რეაქტორებს“.

თ. სამხედრო გამოყენებისთვის სპეციალურად შემუშავებული ალჭურვილობა და მასალები, დაფარული ან სპეციალურად დამუშავებული სიგნატურის დახშობის მიზნით, გარდა სამხედრო პროდუქციის ნუსხაში მითითებული პოზიციებისა;

ი. სამხედრო „ბირთვული რეაქტორებისათვის“ სპეციალურად შემუშავებული სიმულატორები;

- კ. სამხედრო ტექნიკის მომსახურებისათვის სპეციალურად შემუშავებული ან მოდიფიცირებული მობილური სარემონტო სახელოსნოები;
- ლ. საველე გენერატორები, სპეციალურად შემუშავებული ან მოდიფიცირებული სამხედრო გამოყენებისათვის;
- მ. სპეციალურად სამხედრო გამოყენებისთვის შექმნილი ან მოდიფიცირებული ISO ინტერმოდალური კონტეინერები და მისაბმელი სატრანსპორტო საშუალებები (მაგ. მისაბმელი კონტეინერები);
- ნ. ბორნები, რომლებიც არაა მითითებული ევროკავშირის სამხედრო პროდუქციის ნუსხაში, ხიდები და პონტონები, სპეციალურად შემუშავებული სამხედრო გამოყენებისათვის;
- ო. ექსპერიმენტული მოდელები, სპეციალურად შემუშავებული 4, 6, 9 და 10 ჯგუფებში მითითებული ნაწარმის „შემუშავებისთვის“;
- პ. „ლაზერული“ გამოსხივებისაგან დამცავი აღჭურვილობა (მაგალითად, მხედველობის და სენსორების დაცვა), სპეციალურად შემუშავებული სამხედრო გამოყენებისთვის;
- ჟ. „სანვავის ავზები“, სპეციალურად შემუშავებული და ‘მოდიფიცირებული’ სამხედრო გამოყენებისათვის, რომლებიც არაა მითითებული ევროკავშირის სამხედრო პროდუქციის ნუსხაში,

ტექნიკური შენიშვნები

1. არ გამოიყენება 2014 წლიდან.
2. ჯგუფი 17-ში ‘მოდიფიცირებული’ ნიშნავს ნებისმიერ კონსტრუქციულ, ელექტრონულ, მექანიკურ ან სხვა ცვლილებას, რომლის შედეგადაც არასამხედრო ნაწარმი იქნეს იმ ანალოგის თვისებებს, რომელიც სპეციალურადაა შემუშავებული სამხედრო გამოყენებისთვის;

ჯგუფი 18

**„საწარმოო“ აღჭურვილობა და კომპონენტები, როგორცაა:**

- ა. სამხედრო აღჭურვილობის ნუსხაში მითითებული პროდუქციის ‘საწარმოებლად’ საჭირო „საწარმოო“ მოწყობილობა, ასევე მისთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები.
- ბ. გარემოზე ზემოქმედების გამოსაცდელად სპეციალურად შემუშავებული ტექნიკური საშუალებები და სპეციალურად ამ მიზნით შემუშავებული აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება სამხედრო პროდუქციის ნუსხაში მითითებული პროდუქციის სერტიფიცირებისთვის, კვალიფიცირებისთვის, ხარისხის კონტროლის ან ტესტირებისთვის.

ტექნიკური შენიშვნა

ჯგუფი 18-ში ტერმინი ‘საწარმოო (წარმოება)’, მოიცავს შემუშავებას, გამოცდას, დამზადებას, ტესტირებას და შემონახვას.

შენიშვნა ჯგუფი 18-ის ა და ბ ქვეჯგუფები მოიცავს შემდეგ აღჭურვილობას:

- ა. უწყვეტი მოქმედების ნიტრატორები;
- ბ. ცენტრიფუგული ტესტირების აპარატურა ან აღჭურვილობა, რომელსაც აქვს შემდეგი მახასიათებლებიდან ნებისმიერი:
  1. მუშაობს ძრავით ან ძრავებით, რომელთა საერთო სიმძლავრე ცხენისძალის სიდიდით აღემატება 298კვს (400 ცდ);
  2. შეუძლია 113 კგ ან მეტი სიმძიმის სასარგებლო დატვირთვის ატანა, ან
  3. შეუძლია განავითაროს 91 კგ ან მეტი სასარგებლო ტვირთისთვის 8 გ ან მეტი ცენტრიფუგული აჩქარება;
- გ. დეჰიდრაციის წნეხები;
- დ. ხრახნის ექსტრუდერები, სპეციალურად შემუშავებული ან მოდიფიცირებული სამხედრო „ფეთქებადი“ ნივთიერებების ექსტრუზიისთვის;



- ე. საჭრელი დანადგარები ექსტრუდირებული „სარაკეტო სანვავის“ ზუსტი დამუშავებისთვის;
- ვ. სპეციალური კასრები (ტუმბლერები) 1.85მ ან მეტი დიამეტრით და 227 კგ-ზე მეტი ტევადობით;
- ზ. უწყვეტი მოქმედების მიქსერები მყარი „სარაკეტო სანვავისთვის“;
- თ. თხევად ენერგიაზე მომუშავე ნისქვილები სამხედრო „ფეთქებადი ნივთიერებების“ დასაქუცმაცებლად ან დასაფქვავად;
- ი. ჯგუფი 8-ის გ.8 პუნქტში მითითებული აღჭურვილობა ლითონის ფხენილის ნაწილაკების სფერული და ერთგვაროვანი სიდიდის მისაღებად;
- კ. კონვექციური დენის გარდამქმნელები ჯგუფი 8-ის გ.3 პუნქტში მითითებული მასალების კონვერსიისათვის.

ჯგუფი 19

**მიმართული ენერგიის იარაღის (მეი) სისტემები, შესაბამისი აღჭურვილობა ან უკუქმედების აღჭურვილობა, საცდელი მოდელები, ასევე მათთვის სპეციალურად შემუშავებული კომპონენტები, როგორცაა:**

- ა. „ლაზერული“ სისტემები, სპეციალურად შემუშავებული მიზნის გასანადგურებლად ან მასზე ზემოქმედების მოსახდენად ამოცანის შესრულებაში დაბრკოლების შექმნის მიზნით;
- ბ. ნაწილაკების სხივის სისტემები, სპეციალურად შემუშავებული მიზნის გასანადგურებლად ან მასზე ზემოქმედების მოსახდენად ამოცანის შესრულებაში დაბრკოლების შექმნის მიზნით;
- გ. მაღალი სიმძლავრის რადიოსიხშირული სისტემები, სპეციალურად შემუშავებული მიზნის გასანადგურებლად ან მასზე ზემოქმედების მოსახდენად ამოცანის შესრულებაში დაბრკოლების შექმნის მიზნით;
- დ. აღჭურვილობა, რომელიც სპეციალურად არის შემუშავებული ჯგუფი 19-ის ა და გ ქვეჯგუფებში შემავალი სისტემების გამოვლენის, იდენტიფიკაციის ან მათგან დაცვის მიზნით;
- ე. ჯგუფი 19-ში მითითებული სისტემების, აღჭურვილობისა და მისი კომპონენტების ფიზიკური მახასიათებლების გამოცდისათვის განკუთვნილი მოდელები;
- ვ. შეუიარაღებელი თვალის, ან იმ თვალის, რომლისთვისაც მხედველობის მაკორექტირებელ მონოკობილობებს იყენებენ, დასაბრმავებლად სპეციალურად შემუშავებული „ლაზერული“ სისტემები.

შენიშვნა 1 ჯგუფი 19-ში მითითებული მიმართული ენერგიის შეიარაღების სისტემები მოიცავს სისტემებს, რომელთა მახასიათებლები წარმოიქმნება შემდეგი პოზიციების კონტროლირებადი გამოყენების საფუძველზე:

- ა. საკმარისი სიძლიერის „ლაზერები“, რომელთაც შეუძლიათ მოახდინონ ჩვეულებრივი იარაღის აფეთქების მსგავსი დაზიანების ეფექტი;
- ბ. ნაწილაკების ამაჩქარებლები, რომლებიც გამოასხივებს დამანგრეველი ძალის მქონე დამუხტულ ან ნეიტრალურ ნაწილაკებს;
- გ. მაღალი იმპულსური სიმძლავრის ან მაღალი საშუალო სიმძლავრის მქონე რადიოსიხშირული გამომსხივებლები, რომელთა მიერ შექმნილ მძლავრ ველებს შეუძლიათ დიდ მანძილზე ელექტროსქემების დაზიანება;

შენიშვნა 2 ჯგუფი 19 მოიცავს ქვემოთ მოყვანილ პოზიციებს, თუ ისინი სპეციალურადაა შემუშავებული მიმართული ენერგიის შეიარაღების სისტემებისთვის:

- ა. აღჭურვილობა ელექტრომომარაგების, ენერგიის შენახვის, მოხმარების, სიმძლავრის რეგულირების ან სანვავის ექსპლოატაციისათვის;
- ბ. საარტილერიო დაზვერვის ან თვალთვალის სისტემები;
- გ. მიზნის დაზიანების, განადგურების ან მისიის შეწყვეტის შეფასების უნარის მქონე სისტემები;

- დ. სხივის მართვის, გავრცელების ან მიზანმიმართვის აღჭურვილობა;
- ე. აღჭურვილობა, რომელსაც შეუძლია სხივის მიმართულების სწრაფი ცვლილება რამდენიმე სამიზნის მიმართ სწრაფი რეაგირებისათვის;
- ვ. ადაპტირებული ოპტიკა და ფაზური კონიუგატორები;
- ზ. დენის ინჟექტორები წყალბადის უარყოფითად დამუხტული იონური სხივისთვის;
- თ. „კოსმოსში გამოსაყენებლად ვარგისი“ ამაჩქარებლის კომპონენტები;
- ი. უარყოფითად დამუხტული იონური სხივის კონცენტრაციის აღჭურვილობა;
- კ. მაღალენერგეტიკული იონური სხივის მიმართულების შეცვლის და კონტროლის აღჭურვილობა;
- ლ. „კოსმოსში გამოსაყენებლად ვარგისი“ ფოლგა წყალბადის უარყოფითი იზოტოპების სხივის ნეიტრალიზაციისათვის.

ჯგუფი 20

**კრიოგენული და „ზეგამტარი“ აღჭურვილობა, ასევე სპეციალურად მისთვის შემუშავებული კომპონენტები და აქსესუარები:**

- ა. სამხედრო დანიშნულების მინისზედა, საზღვაო, საჰაერო ან კოსმოსურ ტრანსპორტზე დასამონტაჟებლად სპეციალურად შემუშავებული ან კონფიგურირებული აღჭურვილობა, რომელსაც შეუძლია იფუნქციონიროს მოძრაობისას და შექმნას ან შეინარჩუნოს 103 კ-ზე (- 170 °C) ნაკლები ტემპერატურა;

*შენიშვნა* ჯგუფი 20-ის ა ქვეჯგუფის მოქმედება ვრცელდება მობილურ სისტემებზე, რომლებსაც აქვთ ან რომლებიც იყენებენ არალითონის ან ელექტრობის გაუმტარი მასალებისგან (პლასტმასები ან ეპოქსიდური ფისით გამდიდრებული მასალები) დამზადებულ კომპონენტებს ან აქსესუარებს.

- ბ. ზეგამტარი ელექტროაღჭურვილობა (მბრუნავი მექანიზმები და ტრანსფორმატორები), რომელიც სპეციალურად არის შემუშავებული ან კონფიგურირებული სამხედრო გამოყენების მინისზედა, საზღვაო, საჰაერო ან კოსმოსურ ტრანსპორტზე დასამონტაჟებლად, და რომელსაც შეუძლია იფუნქციონიროს მოძრაობისას.

*შენიშვნა* ჯგუფი 20-ის ბ ქვეჯგუფის მოქმედება არ ვრცელდება მუდმივი დენის ჰიბრიდულ უნიპოლარულ გენერატორებზე -ნორმალური ერთპოლუსიანი ლითონის ლუზით, რომელიც ბრუნავს ზეგამტარი ნამსხვრევებით შექმნილ მაგნიტურ ველში (ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს ნამსხვრევები ერთადერთი ზეგამტარი კომპონენტებია გენერატორებში);

ჯგუფი 21

**„პროგრამული უზრუნველყოფა“:**

- ა. „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომელიც სპეციალურად შექმნილი ან მოდიფიცირებულია შემდეგისთვის:

- 1. სამხედრო პროდუქციის ნუსხაში შეტანილი აღჭურვილობის „შემუშავებისთვის“, „ნარმოებისთვის“ ან ექსპლუატაციისთვის;
- 2. სამხედრო პროდუქციის ნუსხაში შეტანილი მასალების „შემუშავებისთვის“ ან „ნარმოებისთვის“; ან
- 3. სამხედრო პროდუქციის ნუსხაში შეტანილი „პროგრამული უზრუნველყოფის“ „შემუშავებისთვის“, „ნარმოებისთვის“ ან გამოყენებისთვის.

- ბ. „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომელიც არ არის მითითებული ჯგუფი 21-ის ა ქვეჯგუფში:

- 1. „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომელიც შექმნილია სამხედრო გამოყენებისთვის და სპეციალურად შემუშავებულია სამხედრო შეიარაღების სისტემების მოდელირებისთვის, სიმულირების ან შეფასებისათვის;

- 2. „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომელიც სპეციალურად შექმნილია სამხედრო გამოყენებისთვის და სპეციალურად შემუშავებულია სამხედრო ოპერაციული სცენარების მოდელირების და სიმულირებისთვის;
- 3. „პროგრამული უზრუნველყოფა“ ჩვეულებრივი, ბირთვული, ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის ეფექტის განსასაზღვრად;
- 4. „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი სამხედრო დანიშნულებისთვის და სპეციალურად არის შემუშავებული მართვისთვის, კონტროლისთვის, კომუნიკაციებისთვის და დაზვერვისათვის (C3I) ან მართვისთვის, კონტროლისთვის, კომუნიკაციებისთვის, კომპიუტერული და სადაზვერვო (C4I) გამოყენებისთვის;
- გ. „პროგრამული უზრუნველყოფა“, რომელიც არ არის მითითებული ჯგუფი 21-ის ა და ბ ქვეჯგუფებში და რომელიც სპეციალურად შექმნილი ან მოდიფიცირებულია იმისთვის, რომ აღჭურვილობას, რომელიც არ არის შეტანილი სამხედრო პროდუქციის ნუსხაში, შესძინოს ამავე ნუსხაში შეტანილი აღჭურვილობის სამხედრო ფუნქციების შესასრულებლად საჭირო მახასიათებლები.

ჯგუფი 22

**შემდეგი „ტექნოლოგიები“:**

- ა. „ტექნოლოგია“, გარდა ჯგუფი 22-ის ბ ქვეჯგუფში მითითებული ტექნოლოგიისა, რომელიც „აუცილებელია“ სამხედრო პროდუქციის ნუსხაში შეტანილი პოზიციების „შემუშავების“, „ნარმოების“, ოპერირების, რემონტის, დამონტაჟების და გამოყენებისთვის;
- ბ. „ტექნოლოგია“, რომელიც:
  - 1. „აუცილებელია“ ისეთი დასრულებული საწარმოო დანადგარების შესამუშავებლად, მათი კომპონენტებისგან აწყობის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის, რომლებიც განკუთვნილია ევროკავშირის სამხედრო ნუსხაში შემავალი პოზიციებისთვის, მაშინაც კი, როდესაც ასეთი საწარმოო დანადგარების კომპონენტები არ არის დასახელებული ამ ნუსხაში;
  - 2. „აუცილებელია“ მსუბუქი იარაღის „შემუშავების“ და „ნარმოებისთვის“, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის გამოიყენება ძველებური მსუბუქი იარაღის რეპროდუქციის შესაქმნელად;
  - 3. არ გამოიყენება 2013 წლიდან;
 

N.B. ჯგუფი 22-ის ბ.3 პუნქტში მითითებული „ტექნოლოგია“ იხ. ჯგუფი 22-ის ა ქვეჯგუფში.
  - 4. არ გამოიყენება 2013 წლიდან;
 

N.B. ჯგუფი 22-ის ბ.4 პუნქტში მითითებული „ტექნოლოგია“ იხ. ჯგუფი 22-ის ა ქვეჯგუფში.
  - 5. „აუცილებელია“ კონკრეტულად ჯგუფი 17-ის ი.1 პუნქტში მითითებული „ბიოკატალიზატორების“ ჩასართავად ნივთიერება – მატარებელში ან სამხედრო დანიშნულების მასალაში.

შენიშვნა 1 „ტექნოლოგია“, რომელიც აუცილებელია ევროკავშირის სამხედრო პროდუქციის ნუსხაში შემავალი პოზიციების „შემუშავების“, „ნარმოების“, ექსპლუატაციის, მონტაჟის, რემონტის, ან განახლებისთვის ექვემდებარება კონტროლს, მაშინაც კი, როდესაც გამოიყენება ისეთ პროდუქციაში, რომელიც არ არის მითითებული აღნიშნულ ნუსხაში.

შენიშვნა 2 ჯგუფი 22-ის მოქმედება არ ვრცელდება:

- ა. „ტექნოლოგია“, რომელიც მინიმუმ აუცილებელია იმ ნაწარმის დამონტაჟებისთვის, ექსპლუატაციისთვის, ტექნიკური მომსახურების (შემონტება) და რემონტისთვის, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს, ან რომლის ექსპორტიც ნებადართულია;
- ბ. „ტექნოლოგია“, რომელიც გამოიყენება „საჯარო სივრცეში“, „ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებში“ ან წარმოადგენს მინიმალურად აუცილებელ ინფორმაციას პატენტზე განაცხადისთვის;
- გ. მაგნიტური ინდუქციის „ტექნოლოგია“, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალებების უწყვეტი მოძრაობის უზრუნველსაყოფად;

**გამოყენებული ტერმინოლოგიის განმარტავები**

ქვემოთ მოცემულია ნუსხაში გამოყენებული ტერმინოლოგიის განმარტებები ჯგუფების მიხედვით:

შენიშვნა 1 განმარტებები ეხება ერთიან სამხედრო ნუსხაში გამოყენებულ სიტყვებს და ტერმინებს. განმარტებები მოცემულია რჩევის სახით და არ ახდენს გავლენას ერთიან სამხედრო ნუსხაში აღწერილი ტერმინოლოგიის საყოველთაო გამოყენებაზე.

შენიშვნა 2 ერთიან სამხედრო ნუსხაში გამოყენებული სიტყვები და ტერმინები იღებს განმარტებულ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოყენებულია ორმაგი ბრჭყალი. ერთმაგ ბრჭყალში მოთავსებული ტერმინის განმარტება მოცემულია ტექნიკურ შენიშვნაში. სხვა შემთხვევაში სიტყვები და ტერმინები გამოყენებულია საყოველთაოდ მიღებული (ლექსიკონის) მნიშვნელობით.

**ჯგუფი 1** „დეაქტივირებული ცეცხლსასროლი იარაღი“  
ცეცხლსასროლი იარაღი, რომელმაც დაკარგა ჭურვის გასროლის შესაძლებლობა ევროკავშირის წევრი ან ვასენარის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის ეროვნული უწყების მიერ განსაზღვრული პროცესების შესაბამისად. ამ პროცესებით სამუდამოდ იცვლება ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტები. ეროვნული კანონების და რეგულაციების მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღის დეაქტივაცია შეიძლება დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატით და ცეცხლსასროლი იარაღის ძირითად ნაწილზე შესაბამისი შტამპის დასმით.

**ჯგუფი 4, 8** „პიროტექნიკა“  
სხვადასხვა სახის სანავის და დამუხანგავების ნაერთები მყარ ან თხევად მდგომარეობაში, რომლებიც აალებიასა შედიან აქტიურ ქიმიურ რეაქციაში კონტროლირებადი სიჩქარით, რაც ქმნის გარკვეულ დროებით შეფერხებებს, ან სითბოს, ხმაურის, კვამლის, ხილული შუქის ან ინფრარითელი გამოსხივების გარკვეულ რაოდენობას. პიროფორული ნივთიერებები წარმოადგენს პიროტექნიკის ქვეკლასს, რომელიც არ შეიცავს დამუხანგავებს, თუმცა თვითნებურად აალებდა ჰაერთან კონტაქტისას;

**ჯგუფი 4, 10** „სამოქალაქო საჰაერო ხომალდი“.  
„საჰაერო ხომალდები“, მითითებული თავიანთი დანიშნულების მიხედვით ევროკავშირის წევრი ან ვასენარის ხელშეკრულების მონაწილე ერთი ან მეტი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ სერტიფიცირებულ ნუსხებში, რომლებიც ადასტურებს მათ ვარგისიანობას კომერციულ, სამოქალაქო, შიდა და საერთაშორისო მარშრუტებზე, ან კანონიერი სამოქალაქო, კერძო ან საქმიანი ფრენისათვის გამოყენებას.

**ჯგუფი 7** „ბრბოს (მასობრივი არეულობის) კონტროლის საშუალებები“  
ნივთიერებები, რომლებიც გამოყენების მოსალოდნელ პირობებში, ეგზალტირებულ ადამიანთა ჯგუფების შეკავების მიზნით, ადამიანებში სწრაფად ინვევს სენსორულ გალიზიანებას ან ფიზიკური გათიშვის ეფექტს (ფიზიკური ქმედების უუნარობას), რომლებიც გაივლის მათი ზემოქმედების დასრულებიდან ხანმოკლე პერიოდის შემდეგ (ცრემლმდენი აირი წარმოადგენს „ბრბოს/მასობრივი არეულობის“ კონტროლის საშუალებების ქვეჯგუფს);

**ჯგუფი 7** „ბიოლოგიური აგენტები“  
პათოგენები ან ტოქსინები, შერჩეული ან მოდიფიცირებული (ისეთები, რომლებიც ზემოქმედებენ სისუფთავეზე, შენახვის ვადებზე, ვირულენტობაზე, გავრცელების მახასიათებლებზე, ულტრა-იისფერი გამოსხივების მიმართ რეზისტენტულობაზე), რომლებიც ზიანს აყენებენ ადამიანებს და ცხოველებს, აფუჭებენ დანადგარებს ან აზიანებენ მცენარეებსა და გარემოს.

**ჯგუფი 7** „ექსპრესიის ვექტორები“  
მატარებლები (მაგალითად პლაზმიდები ან ვირუსები), რომლებიც გამოიყენება პატრონ უჯრედში გენეტიკური მასალის გადასაცემად.

**ჯგუფი 7** „ბიოპოლიმერები“  
შემდეგი ბიოლოგიური მაკრომოლეკულები:

- ა. სპეციფიკური ქიმიური ან ბიოქიმიური რეაქციებისთვის განკუთვნილი ფერმენტები
- ბ. 'ანტიდიოტიური', 'მონოკლონური', და 'პოლიკლონური' 'ანტისხეულები';
- გ. სპეციალურად შემუშავებული ან სპეციალურად დამუშავებული 'რეცეპტორები';

ტექნიკური შენიშვნა

1. 'ანტიდიოტიური ანტისხეულები' – ანტისხეულები, რომლებიც უკავშირდება სხვა ანტისხეულების სპეციფიკური ანტიგენის დამაკავშირებელ უბნებს.
2. 'მონოკლონური ანტისხეულები'- ცილები, რომლებიც უკავშირდება ანტიგენის მხოლოდ ერთ უბანს და წარმოიქმნება უჯრედების მხოლოდ ერთეული კლონის მიერ;
3. 'პოლიკლონური ანტისხეულები' – ცილების ნარევი, რომელიც უკავშირდება სპეციფიურ ანტიგენს და წარმოიქმნება უჯრედების ერთზე მეტი კლონით;
4. 'რეცეპტორები' – ბიოლოგიური მაკრომოლეკულური სტრუქტურები, რომლებსაც შეუძლიათ ლიგანდებთან დაკავშირება, რაც ზემოქმედებს (აზიანებს) ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე;

ჯგუფი 7, 22

„ბიოკატალიზატორები“

'ფერმენტები' სპეციფიკური ქიმიური ან ბიოქიმიური რეაქციებისათვის, ან სხვა ბიოლოგიური ნაერთებისათვის, რომლებიც უკავშირდება ქიმიური იარაღის აგენტებს და აჩქარებს მათ დეგრადირებას;

ტექნიკური შენიშვნა

'ფერმენტები' ნიშნავს „ბიოკატალიზატორებს“ სპეციფიურ ქიმიურ ან ბიოქიმიურ რეაქციებში;

ჯგუფი 8

„ენერგეტიკული მასალები“

ნივთიერებები ან ნაერთები, რომლებიც შედიან ქიმიურ რეაქციაში ენერჯის გამოთავისუფლებით, რაც აუცილებელია მათი დანიშნულებით გამოყენებისთვის. ენერგეტიკული მასალების ქვეკლასებში შედის „ფეთქებადი ნივთიერებები, „პიროტექნიკური მოწყობილობები“ და „ფეთქებადი მასალა“.

ჯგუფი 8

„ფეთქებადი ნივთიერებები“

მყარი, თხევადი ან აიროვანი ნივთიერებები ან ნივთიერებების ნაერთები, რომლებიც დეტონირებენ მათი პირველადი ასაფეთქებლის, აქტივატორის ან ძირითადი მუხტის სახით გამოყენებისას, ქობინებში, განადგურების მოწყობილობებში და სხვა აპლიკაციებში.

ჯგუფი 8

„პრეკურსორები“

სპეციალიზებული ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ფეთქებადი ნივთიერებების წარმოებაში.

ჯგუფი 8

„სარაკეტო სანავი“

ნივთიერებები და მათი ნაერთები, რომლებიც შედიან ქიმიურ რეაქციაში და შედეგად გამოყოფენ ცხელი აირების დიდ მოცულობას რეგულირებადი ინტენსიურობით მექანიკური სამუშაოს შესასრულებლად;

ჯგუფი 8

„დანამატები“

ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ფეთქებად ნაერთებში მათი თვისებების გასაუმჯობესებლად;

ჯგუფი 8, 10, 14

„საჰაერო ხომალდი“

საფრენი აპარატი უძრავი ფრთით, მოძრავი ფრთით, მბრუნავი ფრთით (ვერტიკალი), გადახრადი როტორით ან გადახრადი ფრთით.

- ჯგუფი 9, 19 „ლაზერი“

საგანი, რომელიც ქმნის სივრცულ და დროულ კოჰერენტულ სინათლეს, რომელიც ხდება გამოსხივების სტიმულირებული ემისიის გაძლიერება/ამპლიფიცირებით.
- ჯგუფი 10 „ჰაერზე მსუბუქი საფრენი აპარატები“

აეროსტატები და „საჰაერო აპარატები“, რომელთა ასანწევად გამოიყენება ცხელი ჰაერი ან სხვა, ჰაერზე მსუბუქი აირები, როგორცაა ჰელიუმი ან წყალბადი;
- ჯგუფი 10 „საჰაერო აპარატი“

აეროსტატები და დირიჟაბლები, რომელთა ასანწევად გამოიყენება ჰაერზე მსუბუქი აირები, როგორცაა ჰელიუმი ან წყალბადი;
- ჯგუფი 10 „უპილოტო საფრენი აპარატი“

ნებისმიერი საჰაერო ხომალდი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს და მართოს ფრენა, ასევე, ანარმოს ნავიგაცია ბორტზე ადამიანის ყოფნის გარეშე.
- ჯგუფი 11 „თანამგზავრული ნავიგაციის სისტემა“

სისტემა, რომელშიც შედის მინისზედა სადგურები, თანამგზავრების ერთობლიობა და მიმღებები და რომელიც მიმღებების მდებარეობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა თანამგზავრებიდან მიღებული სიგნალების საფუძველზე. ის მოიცავს თანამგზავრული ნავიგაციის გლობალურ სისტემებს (GNSS) და თანამგზავრული ნავიგაციის რეგიონულ სისტემებს.
- ჯგუფი 11 „კოსმოსური ხომალდი“

აქტიური და პასიური თანამგზავრები და კოსმოსური ზონდები;
- ჯგუფი 11 „მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემები“

ელექტრონული სისტემები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საჭირო ინფორმაციის შეყვანა, დამუშავება და გადაცემა, ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი დაჯგუფებების, ოპერატიული გაერთიანებების, ტექნიკურ ფორმირებების, დანაყოფების, ხომალდების, ქვედანაყოფების ან შეიარაღების ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ეს მიიღწევა კომპუტერული ალგორითმების და სხვა სპეციალიზებული მონაცემების მეშვეობით, რომლებიც განკუთვნილია სანხედრო მართვის და კონტროლის ორგანიზების ფუნქციის მხარდასაჭერად. მართვის და კონტროლის ავტომატიზებული სისტემების ძირითადი ფუნქციებია: ინფორმაციის ეფექტიანი ავტომატიზებული შეკრება, დაგროვება, შენახვა და დამუშავება; იმ ვითარების და გარემოებების ასახვა, რომლებიც გავლენას ახდენენ საბრძოლო ოპერაციების მომზადებასა და ჩატარებაზე; ოპერატიული და ტექნიკური გათვლები რესურსების გადასანაწილებლად საჯარისო დაჯგუფებებს ან ოპერატიული საბრძოლო გაშლის საბრძოლო წყობის ელემენტებს შორის, ამოცანის ან ოპერაციის სტადიის შესაბამისად; მონაცემთა მომზადება სიტუაციის შესაფასებლად და გადაწყვეტილების მისაღებად ოპერაციის ან საბრძოლო მოქმედებების ნებისმიერ მომენტში; ოპერაციების კომპუტერული მოდელირება.
- ჯგუფი 13 “ბოჭკოვანი მასალა“

ბოჭკოვან მასალაში შედის:

  - ა. უწყვეტი მონობოჭკოები;
  - ბ. უწყვეტი ძაფისებური ბოჭკოები და მორგვები;
  - გ. ლენტები, ქსოვილები, ჭილოფები და თასმები;
  - დ. დაჭრილი ბოჭკოები, გადაკერებული ბოჭკოები და კოჰერენტული ბოჭკოვანი საბნები;
  - ე. ბენვები (ვისკერები), მონოკრისტალური ან პოლიკრისტალური, ნებისმიერი სიგრძის;
  - ვ. არომატული პოლიამიდური პულპა.

- ჯგუფი 15 „გამოსახულების სიმკვეთრის გასაძლიერებელი პირველი თაობის მილები“
- გულისხმობს ელექტროსტატიკურად ფოკუსირებულ მილაკებს შემავალი და გამომავალი ბოჭკოვანი ოპტიკით ან მინით დაფარული ფირფიტით, მულტიალკალური ფოტოკათოდებით (S-20 ან S-25), მაგრამ არ გულისხმობს გამაძლიერებლებს მიკროარხული ფირფიტებით.
- ჯგუფი 17 „საბოლოო მანიპულატორები“
- ჩამჭიდები, 'სამუშაო ინსტრუმენტული კომპლექტი' და ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტები, დამაგრებული საყრდენ ფილაზე „რობოტის“ მანიპულატორის კონსოლის ბოლოში;
- ტექნიკური შენიშვნა
- 'სამუშაო ინსტრუმენტული კომპლექტი' არის მოწყობილობა, რომელიც იყენებს მამოძრავებელ ძალას, გარდაქმნის ენერგიას მუშაობად.*
- ჯგუფი 17 21, 22 „შემუშავება“
- სამუშაოების ყველა სტადია სერიულ წარმოებამდე, როგორცაა: პროექტირება, საპროექტო კვლევები, პროექტების ანალიზი, საპროექტო კონცეფციები, პროტოტიპების აწყობა და გამოცდა, საცდელი წარმოების სქემები, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებაში გადაცემის პროცესი, კონფიგურაციის კონსტრუქციული განხორციელება, აწყობის კონსტრუქციული განხორციელება, მაკეტირება.
- ჯგუფი 17 „სანვავის ელემენტი“
- ელექტროქიმიური მოწყობილობა, რომელიც ქიმიურ ენერგიას პირდაპირ გარდაქმნის მუდმივი დენის ელექტრობად გარეშე წყაროდან სანვავის გამოყენების გზით;
- ჯგუფი 17 „ბიბლიოთეკა“ – (ტექნიკურ მონაცემთა პარამეტრული ბაზა)
- სამხედრო ხასიათის ტექნიკური ინფორმაციის კრებული, რომელზე მიმართვითაც შეიძლება გაიზარდოს შესაბამისი სისტემების და კომპონენტების მოქმედების ეფექტურობა;
- ჯგუფი 17 „ბირთვული რეაქტორი“
- შეიცავს ყველა საგანს, რომლებიც იმყოფება ბირთვული რეაქტორის კორპუსზე (ჭურჭელზე) ან მაგრდება მასზე, აღჭურვილობას სიმძლავრის სამართავად რეაქტორის აქტიურ ზონაში და კომპონენტებს, რომლებსაც ჩვეულებრივ შეიცავენ, იმყოფებიან უშუალო კონტაქტში ან მართავენ რეაქტორის აქტიური ზონის პირველი კონტურის გამაგრებლებს;
- ჯგუფი 17 „რობოტი“
- მანიპულაციური მექანიზმი, რომელსაც შეუძლია გადაადგილება შეუჩერებლად ან პუნქტიდან პუნქტამდე, შეუძლია გამოიყენოს სენსორები და ხასიათდება ყველა ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლით:
- ა. მრავალფუნქციურობა;
  - ბ. მასალის, დეტალების, ინსტრუმენტების ან სპეციალური მოწყობილობების დადგენის ან ორიენტირების უნარი სამგანზომილებიან სივრცეში სხვადასხვა მოძრაობების საშუალებით;
  - გ. აღჭურვილია სამი ან მეტი დახურული ან ღია დისტანციური მართვის მოწყობილობით, რომელსაც შეიძლება ასევე ჰქონდეს რამდენიმე ეტაპიანი ძრავები და
  - დ. აქვს 'მომხმარებლის მიერ პროგრამირების შესაძლებლობა' ასწავლე/განახორციელე მეთოდით ან კომპუტერის მეშვეობით, რომელიც შესაძლოა იყოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლიორით, მაგ., მექანიკური ჩარევის გარეშე.
- „მომხმარებლის მიერ პროგრამირების შესაძლებლობა“ შეეხება მოწყობილობას, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას ჩატვირთოს, შეცვალოს ან ჩაანაცვლოს, „პროგრამები“, რომელიც არ ეხება შემდეგ საშუალებებს:

ფიზიკური ცვლილება არსებულ სადენების გაყვანილობაში ან დამაკავშირებლებში ან ფუნქციების კონტროლის მართვაში პარამეტრების შეყვანა.

შენიშვნა ზემოთ მოყვანილი განმარტება არ მოიცავს შემდეგ მონყობილობებს:

1. მხოლოდ ხელით ან ტელეოპერატორის მეშვეობით მართვის მანიპულატორები;
2. შეზღუდული თანმიმდევრობის მანიპულირების მექანიზმები, რომლებსაც განეკუთვნება ავტომატიზებული მოძრავი მონყობილობები, მოქმედი მოძრაობის მექანიკურად შეზღუდული პროგრამირებადი სახეობებით. პროგრამა მექანიკურად შეზღუდულია ფიქსატორებით, როგორცაა შტიფტები ან მუშტები. მოძრაობების თანმიმდევრულობა და ტრაექტორიების ან კუთხეების შერჩევა არ შეიძლება რომ იცვლებოდეს ან შეიცვალოს მექანიკური ან ელექტრონული საშუალებებით;
3. მექანიკურად კონტროლირებადი ცვლადი თანამიმდევრობის მანიპულირების მექანიზმები, რომელსაც განეკუთვნება ავტომატიზებული მოძრავი მონყობილობები; მოქმედებს მექანიკურად დაფიქსირებული დაპროგრამებული მოძრაობების შესაბამისად. პროგრამა მექანიკურად შეზღუდულია დაფიქსირებული, მაგრამ გადართვადი ფიქსატორებით, როგორცაა შტიფტები ან მუშტები. მოძრაობების თანმიმდევრულობა და ტრაექტორიების ან კუთხეების შერჩევა ცვალებადია არსებული დაფიქსირებული პროგრამის ფარგლებში. პროგრამული შაბლონის ვარიაციები ან მოდიფიკაციები (მაგალითად, შტიფტების შეცვლა ან მუშტების გამოცვლა) ერთი ან მეტი კოორდინატის მიხედვით მიიღწევა მხოლოდ მექანიკური ოპერაციის მეშვეობით;
4. მანიპულატორები სერვომართვის გარეშე, ოპერაციების ცვლადი თანმიმდევრულობით, რომლებიც განეკუთვნება ავტომატურად მოძრავ მონყობილობებს, რომლებიც ფუნქციონირებენ მექანიკურად დაფიქსირებული დაპროგრამებული მოძრაობების შესაბამისად. პროგრამა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ოპერაციების თანმიმდევრულობა იცვლება მხოლოდ ბინარული სიგნალის მეშვეობით, რომელიც მიიღება მექანიკურად დაფიქსირებული ელექტრონული ბინარული მონყობილობებისგან ან გადართვადი ფიქსატორებისგან;
5. რობოტიზებული ამნე-შტაბელერები, განსაზღვრული როგორც კარტეზიანულ კოორდინატთა მანიპულაციის სისტემები, დამზადებული შესაძლებელი ბუნკერების ვერტიკალური რიგის განუყოფელი ნაწილების სახით, რომლებიც განკუთვნილია ამ ბუნკერის შიგთავსში შეღწევის უზრუნველსაყოფად ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის მიზნით.

ჯგუფი 18, 21, 22 „ნარმოება“

ნარმოების ყველა სტადია, როგორცაა: შემუშავება, პროექტირება და კონსტრუირება, დამზადება, ინტეგრაცია, აწყობა (მონტაჟი), შემოწმება, გამოცდა, ხარისხის უზრუნველყოფა.

ჯგუფი 19 „ვარგისი კოსმოსურ სივრცეში გამოყენებისათვის“

ნაწარმი, რომელიც შემუშავებულია, დამზადებულია და გამოცდილია დედამიწის ზედაპირიდან 100 კმ-ზე და უფრო მეტ სიმაღლეზე გამოსაყენებლად

შენიშვნა განსაზღვრება, რომ კონკრეტული ნაწარმი „ვარგისია კოსმოსში გამოყენებისთვის“ ტესტირების თანახმად, არ ნიშნავს, რომ იმავე საწარმოო ციკლის ან სერიის მოდელის სხვა ნაწარმიც „ვარგისია კოსმოსში გამოყენებისათვის“ თუ არ არის ინდივიდუალურად შემოწმებული.

ჯგუფი 20 „ზეგამტარი“

შეეხება მასალებს (მაგალითად, ლითონებს, შენადნობებს ან შენაერთებს), რომლებსაც შეუძლიათ სრულებით დაკარგონ ელექტრონიკა (მაგალითად, იქონიონ უსასრულოდ მაღალი ელექტროგამტარობა და გაატარონ მაღალი დენი ჯოულის გაცხელების გარეშე)

სპეციფიკური „ზეგამტარი“ მასალის „კრიტიკული ტემპერატურა“ (ზოგჯერ უწოდებენ გარდაქმნის ტემპერატურას) წარმოადგენს ტემპერატურას, რომლის პირობებშიც მასალა კარგავს ელექტროდენის ნაკადის წინააღმდეგობას.



ტექნიკური შენიშვნა

მასალის „ზეგამტარული“ მდგომარეობა ინდივიდუალურად ხასიათდება „კრიტიკული ტემპერატურით“, კრიტიკული მაგნიტური ველით, რომელიც წარმოადგენს ტემპერატურის ფუნქციას, და დენის კრიტიკული სიმკვრივით, რომელიც წარმოადგენს როგორც მაგნიტური ველის, ასევე ტემპერატურის ფუნქციას.

ჯგუფი 21

„პროგრამული უზრუნველყოფა“

ერთი ან მეტი „პროგრამის“ ან „მიკროპროგრამის“ ერთობლიობა, დაფიქსირებული გამოხატვის ნებისმიერ რეალურ გადამტანში..

ჯგუფი 21

„პროგრამა“

ინსტრუქციების თანამიმდევრობა პროცესის იმ ფორმაში გარდასაქმნელად, რომელიც განხორციელებადია კომპუტერის მიერ.

ჯგუფი 21

„მიკროპროგრამა“

თანამიმდევრობა სპეციალურ სათავსში შენახული ელემენტარული ინსტრუქციებისა, რომელთა შესრულება ინიცირებულია ბრძანების რეგისტრში რეფერენციული ბრძანების შეტანით.

ჯგუფი 22

„აუცილებელი“

„ტექნოლოგიის“ თვალსაზრისით ნიშნავს მხოლოდ „ტექნოლოგიის“ იმ ნაწილს, რომელიც შესაძლებელს ხდის მახასიათებლების ან ფუნქციების კონტროლირებადი დონეების მიღწევას ან გადაჭარბებას. ასეთი აუცილებელი ტექნოლოგია შეიძლება იყოს საერთო სხვადასხვა პროდუქტისათვის;

ჯგუფი 22

„ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები“

ექსპერიმენტული ან თეორიული შრომა, რომლის მთავარი მიზანია მოვლენათა ან დაკვირვებადი ფაქტების ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ახალი ცოდნის შექმნა, მაგრამ არა განსაზღვრული პრაქტიკული მიზნის მიღწევა ან კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტა.

ჯგუფი 22

„საზოგადოებრივ (საჯარო მოხმარების) სფეროში“

ნიშნავს „ტექნოლოგიას“ ან „პროგრამულ უზრუნველყოფას“, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა შეზღუდვების გარეშე შემდგომი გავრცელებისთვის;

*შენიშვნა: საავტორო უფლებების შეზღუდვები არ გამორიცხავს „ტექნოლოგიას“ ან „პროგრამულ უზრუნველყოფას“ „საზოგადოებრივი სფეროდან“*

ჯგუფი 22

“ტექნოლოგია“

სპეციფიკური ინფორმაცია, აუცილებელი ნაწარმის „შემუშავებისთვის“, „წარმოებისთვის“ ან ექსპლუატაციის, ინსტალაციის, მართვის, რემონტის და შემონგებისათვის. ინფორმაცია წარმოდგენილია ‘ტექნიკური მონაცემების’ ან ‘ტექნიკური დახმარების’ ფორმით. „ტექნოლოგია“ განსაზღვრულია სამხედრო პროდუქციის ნუსხაში შემავალი პოზიციების 22-ე ჯგუფში.

ტექნიკური შენიშვნები

1. ‘ტექნიკური მონაცემები’: ნახაზები, გეგმები, სქემები, მოდელები, ფორმულები, ტექნიკური პროექტები და სპეციფიკაციები, მომხმარებლის სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები ხელნაწერის სახით ან ჩანერილი სხვა მატარებლებზე ან მონოტიპობებში, როგორცაა დისკები, ფირები და ნაკითხვის მონოტიპობები.
2. ‘ტექნიკური დახმარება’ შეიძლება იყოს ისეთი ფორმით, როგორცაა ინსტრუქციები, უნარჩვევები, წვრთნები, სამუშაო გამოცდილება, კონსულტაციური მომსახურება. ‘ტექნიკური დახმარება’ ასევე შეიძლება მოიცავდეს ‘ტექნიკურ მონაცემთა’ ტრანსფერს (გადაგზავნას).